# ახალგაზრდა ივერიელი

1921 წლიდან

31 მაისი
№ 60 (11546)
1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ღვთისმშობლის ეკლესიის აღსადგენად

1990 წლის 11 მარტს საქართველოს რელიგიის საქმეთა საბჭოდან მიღებული იქნა თანხმობა ოზურგეთის რაიონის სოფელ ბახვში არსებულ ღვთისმშობლის ეკლესიის აღდგენის თაობაზე.

ამავე წლის 12 მაისს მოეწყო სოფელ ბახვისა და მისი მიმდებარე სოფლების მცხოვრებთა შეკრება, რომელმაც აირჩია საკრებულო ეკლესიის მშენებლობისა და მოზიდული თანხების მიზნობრივად ხარჯვის სახელმძღვანელოდ.

ეკლესიის მშენებლობისათვის საჭირო თანხების შესაკრებად ბინსოცბანკის ოზურგეთის სარწმუნებულოში გახსნილია ანგარიში ნომრით 70096.

სოფელ ბახვისა და მისი მიმდებარე სოფლების საზოგადოება მიმართავს თხოვნით ყველა დაინტერესებულ პირსა და ორგანიზაციას, შესაძლებლობის ფარგლებში გაუწიოს დახმარება აღნიშნულ საშვილიშვილო მშენებლობას.

**საკუთარი ინფორმაცია**

# ერთმნიშვნელოვანი პოზიცია

## სარედაქციო განცხადება

ე. წ. „თურქი მესხების" საქართველოში რეპატრიაციის მცდელობასთან დაკავშირებით წინა ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს ჰელსინკის კავშირის, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოების, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას სახელობის საზოგადოებისა და მრგვალი მაგიდის სხვა წევრების მიმართვა ქართველი ერისადმი.

ეს იყო, ერთგვარად, გამოძახილი იმ შეშფოთებისა, რასაც შოუცავს დღეს მთელი საზოგადოებრიობა.

ოპერატიული სიტუაციის გამო, რედაქციამ ვერ შესძლო მაშინვე დაკავშირებოდა რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებს სათანადო კომენტირებისათვის. როგორც შემდგომ გვაცნობეს, საქართველოს მთავრობის პოზიცია კვლავ პრინციპულია და ერთმნიშვნელოვანი — საქართველოს, მისი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, თურქების ჩამოსახლება არც ამჟამად და არც მომავალში არ იქნება დაშვებული. მთავრობა მთლიანად აკონტროლებს სიტუაციას.

## ქრონიკა, ინფორმაცია

29 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე შეხვდა თვალსაჩინო საზღვარგარეთელ მათემატიკოსთა ჯგუფს, მოსკოვში გამოთვლითი მათემატიკის საკითხებზე მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს.

გამოითქვა რწმენა, რომ თანამშრომლობა, პირადი კონტაქტები არგებს ორივე მხარეს, და შეიძლება შედეგად მოჰყვეს საინტერესო, პრაქტიკული თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი მთელი რიგი თემების, მიმართულებების შემუშავება.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვაჟა გურგენიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალბერტ თავხელიძე.

**საქინფორმი**

●

28 მაისს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა შეხვდა და ესაუბრა საფრანგეთიდან ჩამოსულ ჩვენს თანამემამულეს, სამედიცინო კოსმეტიკური ფირმის „ლაზარტიგის" დირექტორს, მეცენატ მიშელ რამაზ პაპუაშვილს, საუბარი შეეხო სამომავლო საქმიან ეკონომიკურ კონტაქტებს.

## ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით

1 ივნისს აღინიშნება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

ამ თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს ახალგაზრდულმა კავშირმა რესპუბლიკურ ბავშვთა აღდგენითი მკურნალობის სავადმყოფო-რეაბილიტაციის ცენტრს გადაურიცხა 25 000 მანეთი.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის დემოგრაფიულ საკითხთა და ახალგაზრდულ მშენებლობათა რესპუბლიკურმა ცენტრმა სტიქიური უბედურების რეგიონებიდან გადმოსახლებულ მრავალშვილიან ოჯახებს შეუძინა 6 სახლი ქ. ბოლნისში.

**საკუთარი ინფორმაცია**


# იჩქარეთ!

## თუ გინდათ მოიგოთ 100000 მანეთი

31 მაისი

საფეხბურთო ლატარია
–სპორტპროგნოზის
ბილეთების გაყიდვის ბოლო დღეა

შეიძინეთ ლატარია-
სპორტპროგნოზი „იტალია–90"



**1990 წლის 25 მაისს ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში გაიმართა საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომლის მონაწილეებმაც საფუძველი ჩაუყარეს ყოფილი კომკავშირის ბაზაზე დამოუკიდებელი, არაპოლიტიკური ახალგაზრდული ორგანიზაციის შექმნას. ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან როგორც ინდივიდუალური ასევე კოლექტიური წევრები. კომკავშირის ბაზაზე შექმნილ სხვა ორგანიზაციათაგან იგი განსხვავდება იმით, რომ წყვეტს ყოველგვარ კავშირს საკავშირო კომკავშირულ ორგანიზაციასა და სსრკ კომპარტიასთან, რომლის ერთ-ერთ ორგანიზაციასაც წარმოადგენს საქართველოს კომუნისტური პარტია. თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაცია აერთიანებს იმ ახალგაზრდებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თუ პოლიტიკურ ორგანიზაციებს. თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაცია თვლის, რომ მისი რიგების ზრდა ხელს შეუწყობს კომკავშირის თუ მის ბაზაზე შექმნილი კომუნისტური ან სოციალისტური ორიენტაციის ახალგაზრდული ორგანიზაციების რეალური დაშლის პროცესს — აღინიშნა დამფუძნებელ კონფერენციაზე.**

# საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაციის პროგრამა

საქართველოში მიმდინარე ყველა პროცესი ორგანულად დაუკავშირდა ეროვნულ მოძრაობას. ტოტალური რეჟიმის ჩარჩოებში მოქცეული, უძველესი სახელმწიფოებრივი წარსულის მქონე ერი, თავისუფლებისაკენ მიისწრაფვის, ცდილობს გამოვიდეს დაქვემდებარებული პროვინციის მდგომარეობიდან და ეპოქის შესაფერი ეკონომიკით, კულტურითა და დემოკრატიული ინსტიტუტებით თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების სრულფასოვანი მონაწილე გახდეს.

საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაცია (სთაა) დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაციაა, **რომელიც მიისწრაფვის საქართველოს ახალგაზრდობის კონსოლიდაციისაკენ, იღვწის საქართველოს რესპუბლიკის რეალური დამოუკიდებლობის მისაღწევად.** იგი იცავს თავისი წევრების ინტერესებს და უქმნის მათ თავისუფალი საქმიანობისა და თვითგამოვლენის პირობებს.

სთაა როგორც დამოუკიდებელი ახალგაზრდული ორგანიზაცია, თავისი საქმიანობის უპირველეს ამოცანად მიიჩნევს საქართველოში დემოკრატიული მრავალპარტიული, პარლამენტური სახელმწიფოს შექმნას.

სთაა თავისი პროგრამის რეალიზაციას ახორციელებს პირველადი ორგანიზაციების საქმიანობაზე დაყრდნობით.

### საქართველოში დემოკრატიული, პარლამენტური სახელმწიფოს შექმნისათვის

**სთაა:**

— მიიჩნევს, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება უნდა მოხდეს საზოგადოების კონსოლიდაციის საფუძველზე პარლამენტური გზით.

— უარყოფს ხელისუფლების მონოპოლიზაციას. ყველა პოლიტიკური ძალა საქართველოში უნდა იყოს თანაბარუფლებიანი, საქართველოს პოლიტიკური სისტემის საფუძველი უნდა იყოს მრავალპარტიულობა.

— მიისწრაფვის რესპუბლიკაში ისეთი ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბებისაკენ, რომლებიც ხალხის ნებით იქნება არჩეული და რომელთა საქმიანობის ძირითადი და ერთადერთი კრიტერიუმი იქნება ადამიანი, მისი კეთილდღეობა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები;

— იღვწის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების მოქალაქეთა უფლებების სახელმწიფოებრივი დაცვისათვის;

— მოითხოვს კანონმდებლობის დახვეწას, ერის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფსიქოლოგიური თვისებების, ისტორიული ტრადიციების გათვალისწინებით;

— ეროვნული კანონმდებლობა უნდა ჩამოყალიბდეს ქართული სამართლებრივი კულტურისა და ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე;

— პიროვნების თავისუფლების უზრუნველყოფის გზაზე აუცილებლად უნდა მოიშალოს ის ხელოვნური ბარიერები, რომლებიც წინ ელობება სამართლებრივი გარანტიების შექმნას; მრავალპარტიულობის საკანონმდებლო განმტკიცებით უნდა გამოირიცხოს ერთხებობა — ერთი პირის, ერთი პარტიის ან ერთი რომელიმე ორგანოს მიერ ძალაუფლების მონოპოლიზაციის შესაძლებლობა.

— პოლიტიკური პლურალიზმის განხორციელების მიზნით მოითხოვს კონსტიტუციის გადასინჯვას;

— იღვწის სასამართლო ორგანოების სრული დამოუკიდებლობისათვის;

— იღვწის რესპუბლიკაში საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნისათვის;

— დემოკრატიული მმართველობის განხორციელებისათვის აუცილებლად მიიჩნევს რესპუბლიკისა და ახალგაზრდობისათვის საჭირბოროტო ყველა საკითხზე რეფერენდუმების ჩატარებას.

### საქართველოს ეკონომიკური აღორძინების და ახალგაზრდობის სოციალური ინტერესების დაცვისათვის

**სთაა:**

— მონაწილეობას იღებს სუვერენული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული კონცეფციის შემუშავებაში და თავისი ყოველდღიური კონკრეტული საქმიანობით ხელს შეუწყობს მის ცხოვრებაში განხორციელებას;

— საქართველოს ეკონომიკამ უნდა აილოს სოციალური ორიენტაცია, ანუ პიროვნების, საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მისი მთავარი მიზანი უნდა გახდეს;

— სთაა იღვწის ეროვნული ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად და განსავითარებლად ტრადიციული დარგების აღორძინებისათვის. საქართველოს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მორალური, ზნეობრივი ეკონომიკის კანონმდებლობის განმტკიცებისათვის;

— ახალგაზრდობის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად მიიჩნევს საზოგადოების თითოეული წევრისათვის შემოქმედებითი შრომის პირობების შექმნას. მისი პოტენციალის სწორად გამოვლენას. აღნიშნულის მისაღწევად სთაა აუცილებლად თვლის რესპუბლიკაში საკუთრების ფორმათა მრავალფეროვნების სახელმწიფო ანუ სახალხო კოოპერაციული, ჯგუფური, კერძო და საკუთრების სხვა ფორმების დაკანონებას;

— სთაა იღვწის ისეთი ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდობის უფლებას იმუშაონ სპეციალობით, უზრუნველყოფს მათ მატერიალურ დამოუკიდებლობას სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ოჯახების ცხოვრების დონის ამაღლებას;

— შეისწავლის ახალგაზრდობის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს და იღვწის მათი დაკმაყოფილებისათვის;

— იცავს ახალგაზრდობის ინტერესებს სამართლებრივი აქტების მიღებისას;

— იღვწის ახალგაზრდობისათვის პროფესიული დახელოვნების პირობების შექმნისათვის;

— იბრძვის სოციალური თანასწორობისათვის:

— ახალგაზრდობის ინიციატივების ხორცშესხმისათვის ჰქმნის კოოპერატივებს, საწარმოებს, გაერთიანებებს და სხვა სამეურნეო ქვედანაყოფებს;

— იღვწის რათა სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრამების განხორციელებისას პრიორიტეტი მიენიჭოს სოფელს, სოფლის მეურნეობას;

— თავის ამოცანად მიიჩნევს ახალგაზრდობისათვის დასვენების ინდუსტრიის უკეთ ორგანიზებას. ამ მიზნით ახალგაზრდული ცენტრების, კლუბების, შემეცნებით-გასართობი და სპორტული ობიექტების თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აშენებას და ექსპლოატაციას სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე.

### ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღისათვის

**სთაა:**

— თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნულ, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის მოვლა პატრონობას;

— პროპაგანდას უწევს ჰუმანიზმის იდეალებს, აღიარებს სინდისის თავისუფლებას;

— იღვწის ობიექტური ისტორიული სამართლიანობის აღდგენისათვის;

— მონაწილეობას იღებს საქველმოქმედო აქციებში, შეფობს დავრდომილებს და ინვალიდებს.

— იღვწის, რათა ახალგაზრდებს ჰქონდეთ საშუალება განათლება მიიღონ მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის საზღვარგარეთულ ცენტრებში;

— მხარს უჭერს ეროვნულ ოლიმპიურ მოძრაობას, თავისი პრაქტიკული საქმიანობით პროპაგანდას უწევს მის იდეებს;

— ფიზიკურად ჯანსაღი, მომავალი თაობის აღზრდის მიზნით აწყობს სპორტულ შეჯიბრებებს, აყალიბებს სპორტულ კლუბებს, პროპაგანდას უწევს ცხოვრების ჯანსაღ წესს.

### სთაა და სხვა ორგანიზაციები

**სთაა:**

— საქართველოს რესპუბლიკის სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული დამოუკიდებლობის მისაღწევად თანამშრომლობს ყველა საზოგადოებრივ თუ საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან მიზნების ერთობლიობის და სრული პარიტეტის საფუძველზე;

— ახორციელებს ურთიერთობას რელიგიურ ინსტიტუტებთან, ურთიერთპატივისცემის, თანამშრომლობისა და ურთიერთხელშეწყობის პრინციპებზე, მიმართულს რესპუბლიკის კეთილდღეობისაკენ;

— აღიარებს სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების არსებობას, საქართველოს კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე მიისწრაფვის მათთან თანასწორუფლებიან, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ დიალოგისა და თანამშრომლობისაკენ;

### საერთაშორისო და ერთაშორისი ურთიერთობების გაღრმავებისათვის

**სთაა:**

— იღვწის ეროვნული გათიშულობის, კუთხურობისა და პროვინციალიზმის დაძლევის, ცენტრსა და რაიონებს შორის კულტურული, სოციალური და ეკონომიკური დისბალანსის ლიკვიდაციისათვის;

— ამყარებს კავშირს სახელმწიფოების თუ რესპუბლიკების ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და თანამშრომლობს მათთან პარიტეტულ საწყისებზე, მათთან ერთად იბრძვის მშვიდობისა და განიარაღებისათვის, კულტურისა და სპორტის პროგრესისათვის, გარემოს დაცვისათვის;

— თანამშრომლობს ქართული ემიგრაციის ახალგაზრდობასთან;

— ხელს უწყობს ახალგაზრდული ტურიზმის განვითარებას;

— იღვწის რესპუბლიკაში ეთნოკონფლიქტების წარმოშობის მიზეზების აღმოსაფხვრელად;

— იღვწის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ საქართველოს წარმომადგენლობებისა და ახალგაზრდული პრესის კორპუნქტების დაარსებისათვის.

### საქართველოს კომკავშირულ ორგანიზაციაში მიმდინარე თვითგამორკვევის პროცესის საკოორდინაციო კომისიას

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციის რიგგარეშე XXXIV ყრილობამ მიიღო რეზოლუცია კომკავშირში 20 მარტიდან 1 ივნისამდე თვითგამორკვევის პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სადაც ნათქვამია, რომ ნებისმიერი რესპუბლიკური ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნება კომკავშირელთა ბაზაზე ცხადდება კომკავშირის უფლება + მემკვიდრედ.

გთხოვთ, მოიწვიოთ კომისიის სხდომა, სადაც განიხილება საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაციის უფლება + მემკვიდრის სტატუსით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, დემოკრატიულ, სამართლებრივ საფუძველზე უზრუნველყოფის საკითხი.

თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაცია დაფუძნდა 1990 წლის 25 მაისს, წესდება თან ერთვის. დამფუძნებელ კონფერენციას ესწრებოდნენ დამფუძნებელი დამოუკიდებელი ორგანიზაციები და ინდივიდუალური წევრები.

**თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაციის გამგეობა**

# ამ მიუტევებელი გაორებისთვის...

**გალის რაიონის სამხედრო კომისარიატმა (რაიონის წვევამდელებს 26 მაისისათვის ჯარში გაწვევის უწყებები ჩამოურიგა. როგორც გაირკვა, ამ დღისთვის გაწვევის მითითება ზევიდან, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატიდან ჰქონდათ მიღებული.**

დიდი ხანია ჩვენი სიტყვა და საქმე ერთმანეთს არ მისდევს, მაგრამ ბოლო დროს ეს კიდევ უფრო აშკარა გახდა: სიტყვით ერთს ვამტკიცებთ, საქმით მეორეს ვადასტურებთ.

სხვა რა ჰქვია, თუ არა სიტყვისა და საქმის შეუსაბამობა, ათასჯერ თქმულის იგნორირება, რაღაც ძალიან წმინდა და სათუთის უგულებელყოფა იმ ფაქტის, რომ ქართველ ჭაბუკებს 26 მაისისთვის ჯარში გაწვევის უწყებებს „აახლებენ".

არავისთვის არ არის ახალი: წლების მანძილზე თავბრუდამხვევი ოვაციებით ვზეიმობდით 25 თებერვალს, 7 ნოემბერს, 26 მაისი კი თითქოს არც არსებობდა...

საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, იქნებ, საზეიმოდ არც გვქონდეს საქმე, მაგრამ...

26 მაისის აღიარება ქართული ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი რეალური გამარჯვებაა, წარსულისადმი თაყვანისცემაა და მომავალი 26 მაისისკენ — ჭეშმარიტი თავისუფლებისკენ დაუოკებელი სწრაფვის გამოხატულებაა. დღევანდელ რთულ პირობებში ამ ზეიმს ერისა და ბერის, დიდისა და პატარის თუნდაც ერთი დღით გაერთიანების მისიაც აკისრია.

და, რაოდენ გულსატკენია, რომ ჩვენს ბიჭებს — ხვალინდელი თავისუფალი საქართველოს ნამდვილ მეპატრონეებს, ამ ეროვნული დღესასწაულისგან, საერთო გულისთქმისგან გამოთიშვას უქადდნენ.

26 მაისს — ქართველ ჭაბუკთა ჯარში გაწვევის ფაქტს საზოგადოება, ალბათ, სათანადო შეფასებას მისცემს, მანამდე კი ერთს დავძენდით:

ჩვენთვის არ არის უცხო გაორების ფენომენი, ბოლო წლებში ყველაზე უკეთ სწორედ ეს თვისება მოვირგეთ და შევისისხლხორცეთ თურმე, მაგრამ რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს, რა თქმა უნდა, რაიონის კომისარიატსაც ამ გამორჩეულ დღეს მაინც უნდა დაეზოგა ბიჭები.

როცა საქართველო თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენას აღნიშნავდა და თავისუფლებისაკენ სწრაფვას, როგორც არასდროს ისე ხმამაღლა გამოხატავდა, სწორედ იმ დღეს, ქართველი ჭაბუკები სამშობლოსაგან შორს, კაცმა არ იცის, ვისა და რის სამსახურში ჩასადგომად • მიმავალი გზისთვის უნდა გაეყენებინათ...

**ნატო კორსანტია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „სახალხო დიპლომატია“ პიროვნული დიპლომატიაა

**ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში საზოგადოებრივი ორგანიზაციის „მშვიდობის ხიდები“ მიწვევით საპასუხო ვიზიტით იმყოფებოდა მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის დელეგაცია კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვახტანგ რჩეულიშვილის მეთაურობით. დელეგაციის წევრები მიიღო ჩრდილოეთ კაროლინის გუბერნატორმა ჯეიმს გ. მარტინმა. გთავაზობთ ვახტანგ რჩეულიშვილისა და გუბერნატორ მარტინის საუბრის ფრაგმენტებს.**

**ვ. რ.** — ბატონო გუბერნატორო, უპირველეს ყოვლისა ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა მოგახსენოთ მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის დელეგაციის მიღებისათვის. ჩვენი კომიტეტი, როგორც მოგეხსენებათ არასამთავრობო ორგანიზაციაა, ე. წ. „სახალხო დიპლომატიის“ ერთგვარი ცენტრია. ამიტომაც შევეცდებით მაქსიმალური სიზუსტით გადმოგცეთ საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ხალხის ნება-სურვილი, ჩვენი პოზიცია თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების, კერძოდ, საქართველო-ამერიკის ურთიერთობების განვითარების აქტუალურ საკითხებზე.

**ჯ. მ.** — მე დიდად მოხარული ვარ საქართველოს დელეგაციასთან შეხვედრისა. მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ „სახალხო დიპლომატიის“ არხებს, მივესალმები „მშვიდობის ხიდების“ და თქვენი კომიტეტის ინიციატივას არასამთავრობო დონეზე საბჭოთა-ამერიკული ურთიერთობის განვითარების შესახებ. მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო ის მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები, რომელთაც თვალნათლივ ვხედავთ ამ ურთიერთობებში სამთავრობო დონეზე, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა გორბაჩოვის, ახალი საბჭოთა ხელმძღვანელობის პოლიტიკურმა კურსმა.

**ვ. რ.** — გორბაჩოვისა და შევარდნაძის პოლიტიკას ჩვენშიაც მრავალი მიმდევარი ჰყავს, თუმცა მისი მოწინააღმდეგეებიც არიან, უწინარესად მხედველობაში მყავს ის რეაქციული ძალები, რომლებსაც არ სურთ დასთმონ ტოტალიტარული სისტემის „მონაპოვარი“ და ცდილობენ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ „საბჭოთა იმპერია“. ამიტომაც, ჩემი აზრით, გორბაჩოვი დღეს იძულებულია გაითვალისწინოს მათი პოზიცია და გაატაროს მკაცრი ზომები დამოუკიდებელი ლიტვის მიმართ. როგორც პოლიტოლოგს, მე მესმის შექმნილი მდგომარეობის მთელი სირთულე, მაგრამ როგორც საქართველოს „სახალხო დიპლომატიის“ წარმომადგენელს, არ შემიძლია არ გამოვხატო ქართველი ხალხის სრული თანადგომა და სოლიდარობა ლიტველების მიმართ, ჩვენი აღშფოთება ცენტრის მიერ ლიტვის საწინააღმდეგოდ მიმართული აქციების გამო.

დღევანდელი ლიტვის პრობლემები ეს ჩვენი ხვალინდელი დღეა და საქართველოს მაგალითზე მინდა მოგახსენოთ, რომ ხალხის კანონიერ სწრაფვას თავისუფლებისაკენ ვერ შეაჩერებს ვერც ეკონომიკური და ვერც სამხედრო-დამსჯელი აქციები. ეს კიდევ ერთხელ თვალნათლივ წარმოაჩინა თბილისის 9 აპრილის ტრაგედიამ, რომელიც მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს მიერ იმთავითვე სამხედრო დანაშაულად შეფასდა.

**ჯ. მ.** — მინდა ვისარგებლო შემთხვევით, რათა გავიზიარო ქართველი ხალხის მწუხარება 9 აპრილის მსხვერპლთა გამო. მოგეხსენებათ, ამერიკულმა პრესამ ფართოდ გააშუქა ეს ტრაგედია და ვრცელი სტატიებით აღნიშნა მისი წლისთავი. ეს გახსენება გარანტია უნდა იყოს მომავალში მსგავსი აქციების არდაშვებისა.

რაც შეეხება ლიტვის დამოუკიდებლობას, ხომ შეიძლება ლიტვას ეს ნაბიჯი უფრო მომზადებულად, აუჩქარებლად და მოფიქრებულად გადაედგა, რითაც თავიდან აიცილებდა ბევრ გართულებას.

**ვ. რ.** — სავსებით გეთანხმებით, ბატონო გუბერნატორო, მაგრამ ალბათ თქვენც, როგორც რესპუბლიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, რეიგანის და ბუშის ადმინისტრაციის სხვა წევრებთან ერთად არაერთხელ მოქცეულხართ მძაფრი კრიტიკის ქარცეცხლში სწორედ იმიტომ, რომ თქვენი პოლიტიკა ყოველთვის გაბედული და უკომპრომისო იყო, სწრაფად და გაბედულად რეაგირებდით შექმნილ გარემოებებზე. ამიტომაც, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ზოზინითა და გაჭიანურებით მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო ჯამში ყოველთვის როდია უფრო სწორი.

**ჯ. მ.** — ცხადია, ამაში გეთანხმებით. მაგრამ თქვენც უნდა გაგვიგოთ, რომ უსაფრთხოების პრობლემები, კერძოდ სტაბილური მდგომარეობა აღმოსავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირში, მთლიანად გორბაჩოვის პროფესიული რეფორმების მხარდაჭერა ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგანაც სწორედ ამაში ვხედავთ გლობალური მშვიდობის ერთ-ერთ გარანტიას.

**ვ. რ.** — ჩვენ კარგად გვესმის ეს და ღრმად გვწამს, რომ გორბაჩოვი და მისი გუნდი მოევლინება მსოფლიოს არა მხოლოდ როგორც აღმოსავლეთ ევროპის განმანთავისუფლებელი, არამედ როგორც „საბჭოთა იმპერიის“ დეკოლონიზატორი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მსგავსად ჩვენც მოვიპოვებთ თავისუფლებას.

რაც შეეხება ამ პროცესის მშვიდობიანი გზით წარმართვას, დღესდღეობით ეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა და მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ეროვნული მოძრაობა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით მოქმედებს.

**ჯ. მ.** — ჩვენ კარგად ვიცით ამის შესახებ. საქართველოს და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მოძრაობა რომ მშვიდობიანი ფორმებით ვითარდება, სწორედ ეს განსაზღვრავს ამერიკელი ხალხის სიმპათიებს თქვენს მიმართ.

გვერწმუნეთ, რომ ეს გრძნობები მტკიცე და გულწრფელია. მე მჯერა, რომ ჩვენი ხალხების ურთიერთობები განმტკიცდება და განვითარდება, რომ ამ საქმეს ხელს შეუწყობს თქვენი დელეგაციის ვიზიტიც, საერთოდ ასეთი კავშირების გააქტიურება.

**ვ. რ.** — რადგანაც საუბარი ჩვენი ხალხების მომავალ ურთიერთობებს შეეხო, ჩვენი საუბრის დასასრულს ნება მიბოძეთ გადმოგცეთ საქართველოს ეროვნული დროშა და გამოვთქვა ქართველი ხალხის იმედი, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი ურთიერთობები სწორედ ამ დროშის ქვეშ წარიმართება და ის მალე დაიკავებს კუთვნილ ადგილს როგორც ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის წინ სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოების დროშების გვერდით, ასევე ვაშინგტონშიც, საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს შენობაზეც.

**ჯ. მ.** — გულითად მადლობას მოგახსენებთ და გამოვთქვამ იმედს, რომ ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთან ერთად, გამოიჩენს მაქსიმალურ სიბრძნეს და წინდახედულობას თავისუფლებისაკენ მიმავალ რთულ გზაზე. ამ დროშით კი ჩემს სამუშაო ოთახს დავამშვენებ.

# ვეტერანის პასუხი ზურიკელას

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ 5 მაისს გამოქვეყნდა ღია წერილი ომის ვეტერანებს — „რას ვზეიმობთ 9 მაისს“, რომელმაც საკმაოდ დიდი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. ომგადახდილ ვეტერანებში. თვით უზენაესმა ძალამ ბუნებისამ წარმოქმნა დედამიწაზე წყალი და ხმელეთი; დღე და ღამე; შექმნა ქალი და კაცი; კეთილი და ბოროტი. მხოლოდ ძალა, რომელიც აბრუნებს ჩვენ პლანეტას თავის ღერძისა და მის ირგვლივ ერთადერთია. არც ერთი თაობა, ეს ახალი იქნება თუ ძველი, არ არის დაზღვეული ბოროტებისაგან. ამიტომ ყველგან და ყველაფერში უნდა ვებრძოლოთ მხოლოდ და მხოლოდ ბოროტებას.

მართალი გითხრათ, არც გამკვირვებია, როცა სახალხო ფრონტის ერთ-ერთი ასოციაციის პრეზიდენტის ინტერვიუში, (გაზ. „საბჭოთა აგრონომი“, 1990 წ. 5. III). მათთან მიტმასნილი ნაძირალების გვარები წავიკითხე, რომლებმაც თავისი უღირსი საქციელით წაბილწეს ეს ეროვნული მოძრაობა. მაგრამ ამის გამო არ შეცვლილა ხალხის აზრი ამ ორგანიზაციაში მომუშავე კეთილსინდისიერი ადამიანების მიმართ, რომლებიც იქ ეროვნულ საქმეს უდგანან სათავეში. რას იზამ, ცნობილია, რომ თვით იესო არ იყო დაზღვეული გამყიდველ ბოროტებისაგან.

მიუხედავად ყველაფრისა, საკვირველია, რა სურვილი გაუჩნდა ზურიკელას სახელს შეფარებულ ახალგაზრდას, რომ სწორედ ზეიმის წინა დღეებში მოემართა ომგადახდილ ვეტერანებისათვის ბრალდებით — მტერი მაინცდამაინც არაფერს გვერჩოდა აქეთ და რა გვქონდა საომარიო.

ფაშისტებმა რომ ევროპის არცერთი ქვეყანა არ დაინდეს და თითქმის ყველა მხრიდან კავკასიის მისადგომებამდე მოაღწიეს და პარაშუტისტებიც ბევრი გადმოსვეს საქართველოში, ეს ხომ ფაქტია. მოძალადე აგრესორის რა დაუწერელი კანონი დატოვებდა საქართველოს დაუპყრობელს ეხლანდელი ვეტერანები და ბრძოლებში დაღუპული ბუხაიძე, კანკავა, წურწუმია. ზოია რუხაძე და მრავალნი ასეთნი სიცოცხლის ფასად რომ არ გამკლავებოდნენ მტერს.

საქართველოს ავბედობა ხომ არ აწყობდა ვინმეს ამ ომში, რის დამალულ ბოღმას დღეს გაზეთის ფურცლებზე ანთხევს შენიღბული ზურიკელას სახელით და გამმაგებული შეურაცხყოფს ლესელიძის ძეგლს, მადლიერმა ქართველმა ხალხმა მადლობის ნიშნად რომ დაუდგა გენერალს კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილის გადარჩენისათვის.

თქვენ გავიწყდებათ, რომ როდესაც ომგადახდილებს აუგად იხსენიებთ, შეურაცხყოფას აყენებთ იმ სამასი ათას ჯარისკაცს, რომლებიც სიკვდილს თვალებში უყურებდნენ და საქართველოს გამარჯვებისათვის კვდებოდნენ.

არავის არა აქვს უფლება, რა დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეს, რომ მათი წმიდათაწმიდა სახელი შეურაცხყოს.

ფაშისტური არმია იყო საუკეთესოდ ნაწრთობი, კბილებამდე შეიარაღებული, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი, მრავალი ქვეყნის დაპყრობით გათამამებული, გამარჯვების იმედით გაელენთილი, რობოტებივით ზუსტად მომქმედი, მილიტარისტებისაგან ზუსტად აგებული. სწორედ ასეთი უძლიერესი მექანიზმი დაამსხვრია და გაანადგურა სტალინის გენიამ. ამაში ეჭვი არც ერთ მეომარს, რა ჩინის მატარებელიც არ უნდა იყოს ის, ეჭვი არ ეპარება.

სიმართლე გითხრათ, არც ის არის მოსაწონი, რომ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი სტალინის გენება მოდად გადაიქცა. თქმის უფლებას ვერავის წაართმევ, მაგრამ ნუ მივაწერთ მიცვალებულს იმას, რაც არ გაუკეთებია. რომ მას ჰქონდა არაჩვეულებრივი ენერგია, ერუდიცია და უდრეკი ნებისყოფა, ამ ფაქტს ჩვენი საუკუნის ცნობილი პოლიტიკოსები აღიარებენ.

წერილში ვეტერანებს გვამტყუნებენ, რომ გვიჭირს „სხვისა“ და „საკუთარის“ გარჩევა. უსუსური ბრალმდებელი, დღევანდელი ცხოვრების დაბალი დონით გაღიზიანებული გვაბრალებს იმას, რასაც ნამდვილად არ ვფიქრობთ. ვითომ „ინტერფრონტი“ ფიქრობს დასაყრდენობათ ჩვენ გამოყენებას, ეს ხომ მტკნარი სიცრუეა, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული. ასეთები ჩვენში არ მოიძებნებიან. ადამიანებს, რომლებიც ომმა ვერ გატეხა, მოძულე თავის დასაყრდენად ვერ გამოიყენებს.

თქვენ გაინტერესებთ, თუ რას მოიმოქმედებდა გერმანია ომი რომ მოეგო. თქვენივე სიტყვებით მინდა გიპასუხოთ: „კეთილი დამპყრობელი ჯერ არ დაბადებულა“.

ის კი საჭიროა, ზოგიერთებმა იცოდნენ, რომ იმ სპეციალისტების უმრავლესობა, რომლებიც დღეს მოღვაწეობენ ყველა სფეროში და თავი მოაქვთ კვალიფიცირებულებად — უმუშევრები დარჩებოდნენ. ხოლო რაც შეეხება ხალხს, დაპყრობილის სასტიკ ბედს გაიზიარებდა. რასაკვირველია ყველა სულდაცემული შედარებით კარგად იცხოვრებდა თუ მათ სამსახურში დაუდგებოდა როგორც ლაქია და გამცემი. ეს ომის მსვლელობის დროს დამტკიცდა დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ნამდვილ მებრძოლს ყოველთვის სიკვდილზე უფრო ძალიან დამამცირებელი ტყვეობისა ეშინოდა.

იმის მაგივრად, რომ იქადაგოთ სწავლაზე, სპეციალობის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე, რაც საქართველოს წინსვლას წაადგებოდა. რატომღაც ჩვენი ყოველგვარ საფუძველმოკლებულ ლანძღვას გზას დაადექით, და იმასაც კი გვკადრებთ, ვითომდაც ჩვენთვის გახსნილი მაღაზიებით მოგვიხყიდეს, მაგრამ ვინ და რისთვის, ამას გვერდს უვლით.

მე გამიჩნდა სურვილი, ჩემი ტალონი სურსათზე დაგითმოთ. ოღონდ მაღაზიაში მარტო ნუ მიხვალ, ვინმე მიიყვანე იმის წამოსაღებად, რასაც იქ მიიღებთ: 500 გრ. წიწიბურას, სამ ქილა შედედებულ რძეს და სხვა ამავე ნორმით გათვალისწინებულ პროდუქტებს, რისთვისაც ყოველ დღე უნდა იარო მათ მოლოდინში და გაცემის დროს იდგე თავსატეხ რიგში.

ეცით პატივი ჯერ საკუთარ თავს, მერე ერთმანეთს. იმ ხელით, რომლითაც პირჯვარს იწერთ, ცილისმწამებლურ წერილებს ნუღარ დაწერთ.

ჩვენთვის, ვეტერანებისათვის, ბუნებისაგან ისედაც ძუნწად მიზღვეული წლები უკვე იწურება. მალე დადგება ისეთი ცხრა მაისი, როდესაც ომის არც ერთი მონაწილე ცოცხალი აღარ ვიქნებით. ეს უდიდესი სასჯელი იქნება თქვენთვის, ბრალმდებელო! რამე თუ ყოველთვის მოგაგონდებათ რა გულისტკივილი მოგვაყენეთ ჩვენ თქვენი წერილით. ჩემს თაობას არა აქვს უფლება შეგრისხოთ თქვენ, ამ საქციელისათვის, საქართველოს დასაწყევლი შვილები არა ჰყავს, ამიტომ შენ არ მოუკვდი შენს ბებიას, ზურიკელა!

ღმერთმა ყველა თაობა მოასწროს დამოუკიდებელ საქართველოს და ამ საქმისათვის ბრძოლაში, თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს.

**ლევან მშვენიერაძე,**
**ომისა და შრომის ვეტერანი.**

**რედაქციისაგან: ჩვენი გაზეთის 5 მაისის ნომერში გამოქვეყნებულმა ზურიკელას წერილმა — „რას ვზეიმობთ 9 მაისს?“ მკითხველთა არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგი გვიწონებს საკითხისადმი ახლებურ მიდგომას, ზოგიც მკრეხელობაში გვითვლის მას. ერთი რამ ცხადია, რომ საჭიროა მეორე მსოფლიო ომის ობიექტური, პოლიტიკური [illegible]**

# ანონსი

**სამშაბათს,** 5 ივნისს, გაზეთ „დვრიტას“ ფურცლებზე სხვა საინტერესო მასალებთან ერთად თქვენ გაეცნობით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიური ლაბორატორიის მიერ მოწყობილი **გამოკითხვის შედეგებს,** რომელიც საქართველოს ახალგაზრდობის ფონდთან თანამშრომლობით ჩატარდა.

**გამოკითხვის მიზანი იყო თბილისელთა დამოკიდებულების დადგენა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი, პოლიტიკური, საზოგადო და რელიგიური მოღვაწეებისადმი. გამოკვლეულ იქნა, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ეფექტურობა.**

გამოკითხვაში და მიღებული შედეგების კომპიუტერზე დამუშავებაში მონაწილეობდნენ: პაატა ამონაშვილი (ხელმძღვანელი), ლია მეზვრიშვილი, მერაბ ფაჩულია, მაკა ხუციშვილი და სხვები.

გამოკითხვა საქართველოს ახალგაზრდობის ფონდთან ერთად დააფინანსა კომერციულმა ბანკმა „პროგრეს-თბილისი“.

ალტერნატიული ფურცელი

# საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები

## 1990 წლის 30 სექტემბერი საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების დღეა

## საქართველოს ეროვნული ყრილობა

[illegible]

... საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების, ... აციების, საზოგადოებრივი ... ორგანიზაციების, მეცნიერებათა ..., შემოქმედებითი კავშირების, მნიშვნელოვანი საწარმოო ..., სამინისტროების, ... უწყებების, საქართველოს ... რაიონის, საქართველოს ... დიდებული ეკლესიის წარმომადგენლები. ყრილობის დელეგატთა საერთო რაოდენობა ... და ექვსი ათას კაცს.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ ... იმსჯელა საქართველოსა ... ირგვლივ არსებული უაღრესად ... რთული პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. ხაზი გაესვა იმას, ... ისტორიული თვალსაზრისით ... მეტად მძიმე და რთულ პერიოდში საქართველოს ეროვნული ... კური კონსოლიდაცია არის ... ხლო აუცილებელი ჩვენი ... ა ქვეყნის უკეთესი აწმყოსა და მომავლის განსაზღვრისათვის. საქართველოს ეროვნულმა ... ამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის, საქართველოს ეროვნული ფორუმისა და საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების საკოორდინაციო ცენტრის გადაწყვეტილებებს საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევის შესახებ და დაადგინა, რომ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე დემოკრატიული წესით არჩეული ეროვნული კონგრესი იქნება საქართველოს მოსახლეობის ნდობის მანდატით აღჭურვილი, საქართველოს მოსახლეობის უზენაესი ნების გამომხატველი ერთადერთი ორგანო, რომელიც მეტროპოლიისა და საერთაშორისო სამართლის წინაშე დასვამს საქართველოს დეოკუპაციისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს. მიღებულ იქნა რეზოლუცია და კანონი საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების შესახებ, რომელთა პროექტები ყრილობის დელეგატებს გააცნო ირაკლი წერეთელმა. გიორგი ჭანტურიამ წაიკითხა მიმართვა ლიტველი ერისადმი, რომელიც ასევე მიიღო ეროვნულმა ყრილობამ.

სიტყვებით გამოვიდნენ: ჯანსუღ ჩარკვიანი, თეიმურაზ სუმბათაშვილი (საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია), თენგიზ შარმანაშვილი (საქართველოს დემოკრატიული პარტია), ირაკლი მაჭავარიანი (თბილისის პოლიტიკური კლუბი), დავით ზოდელავა (პროგრესულ-დემოკრატიული პარტია), გიორგი ყორღანიშვილი (კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია), ელდარ შენგელაია, გიორგი ქორქოლიანი (თბილისის პოლიტიკური კლუბი), აკადემიკოსი მერაბ ალექსიძე, აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი, პროფესორი სოლომონ ხუციშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, რაულ კუპრავა (ილია ჭავჭავაძის საზოგადოება), ემიგრანტი ვიქტორ ხომერიკი, პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე, ირაკლი კაკაბაძე (ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი), ვახტანგ გოგუაძე, ლუიზა შაკიაშვილი (ქეთევან წამებულის საზოგადოება), ნოდარ ნათაძე, დავით ტურაშვილი და სხვები. ყრილობის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა მეუფე ქრისტეფორემ.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნების იდეის გარშემო გააერთიანა ერთ დიდ ეროვნულ მიზანს დაქვემდებარებული, მაგრამ სხვადასხვა პოლიტიკურ პოზიციებზე მდგომი პარტიები და ორგანიზაციები. არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრი შემდეგი შემადგენლობით:

1. საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია;
2. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
3. საქართველოს დემოკრატიული პარტია;
4. საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი;
5. საქართველოს ეროვნულ-სოციალური პარტია;
6. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინების პარტია;
7. წმინდა ილია მართლის საზოგადოება — ეროვნული ფორუმის მომხრენი;
8. ქეთევან წამებულის საზოგადოება;
9. თბილისის პოლიტიკური კლუბი;
10. ილია ჭავჭავაძის საზოგადოება;
11. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია;
12. საქართველოს რესპუბლიკური პარტია;
13. საქართველოს კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია;
14. საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტია;
15. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია;
16. ასოციაცია „ეროვნული თანხმობა“;
17. საქართველოს მხედრიონი;
18. სადროშო „ლემი“;
19. ინვალიდთა ასოციაცია;
20. ასოციაცია „ჯავახეთი“;
21. ასოციაცია „რაჭა“;
22. ასოციაცია „ჰერეთი“;
23. ასოციაცია „ფერეიდანი“;
24. საქართველოს ებრაელთა ასოციაცია;
25. თეთრი გიორგის კავშირი;
26. ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება;
27. ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება;
28. წმიდა დავით აღმაშენებლის ქრისტიანთა საზოგადოება;
29. დავით გარეჯელის საზოგადოება;
30. ოსური ასოციაცია „სიმართლე“.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრში გაერთიანდა მწერალთა კავშირის, მხატვართა კავშირის, კომპოზიტორთა კავშირის, არქიტექტორთა კავშირის, ჟურნალისტთა კავშირის, მშენებელთა კავშირის, კინემატოგრაფისტთა კავშირის, თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წარმომადგენლობა.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ დაადგინა, რომ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნები დაინიშნოს 1990 წლის 30 სექტემბერს.

# საქართველოს ეროვნული ყრილობის რეზოლუცია

## საქართველოს ეროვნული კონგრესის შესახებ

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ქართველი ერის ბუნებრივი სწრაფვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ საზოგადოებრივი ცნობიერების რეალურ ფენომენად აქცია. ვერავითარი ძალა წინ ვერ აღუდგება და ვერ შეაჩერებს ამ მისწრაფებას, რომელიც ეფუძნება მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, მაღალ ზნეობრივ, სარწმუნოებრივ და ჰუმანისტურ ტრადიციებს.

საქართველო დღეს წარმოადგენს ოკუპირებულ, ფაქტობრივად ანექსირებულ კოლონიურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას, საქართველოში არსებული სახელმწიფო წყობილება, მოქმედი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურები წარმოადგენენ მხოლოდ ნაწილს საბჭოთა იმპერიის ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემისა. მათ არსებობას არ გააჩნია კანონიერი საფუძველი არც ისტორიული, არც პოლიტიკური, არც სამართლებრივი და არც მორალური თვალსაზრისით. მდგომარეობა, რომელიც წარმოადგენს დანაშაულებრივი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის, შეიარაღებული აგრესიის უშუალო შედეგს, მოკლებულია ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ და ზნეობრივ სამართლიანობას. აქედან გამომდინარე, საქართველოს თავისუფალი და დემოკრატიული განვითარება, რომლის საწინდარია საქართველოს განთავისუფლება საოკუპაციო ჯარებისაგან, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად, ითვალისწინებს იმპერიის მიერ თავს მოხვეული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ლიკვიდაციას და კანონიერ საფუძველზე დემოკრატიული ხელისუფლების ორგანოების შექმნას საქართველოში.

ქართველი ერი არასოდეს შერიგებია ძალმომრეობაზე დაფუძნებულ უკანონობას და თავისი შესაძლებლობების შესაბამისად მუდამ იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

დღეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ბრძოლის ახალ ეტაპზე ავიდა. იკვეთება რეალური შესაძლებლობები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ასეთ ვითარებაში გაჩნდა აუცილებლობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზანშიმართული წარმართვისა, რამაც უნდა მიგვიყვანოს საბოლოო გამარჯვებამდე.

ვგრძნობდით რა ამ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელსაც თითოეულ ქართველსა და მთელ ეროვნულ მოძრაობას აკისრებს ჩვენს უაღრესად რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქაში, იმ ნათელი და დიდი მიზნისათვის ბრძოლა, რასაც თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო ჰქვია, ჩვენ, საქართველოს ეროვნული ყრილობის მონაწილეებს მიგვაჩნია:

ა) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა იყოს საყოველთაო, მასშტაბური, უკომპრომისო, მაგრამ ორგანიზებული და მართვადი;

ბ) ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არ უნდა დაუშვას თავისუფლების მოპოვების გზაზე ადამიანის უფლებების შეზღუდვა, ზნეობისა და დემოკრატიის ნორმების დარღვევა;

გ) ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უნდა წარმართოს პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე;

დ) ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს დეოკუპაცია, მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა;

ე) ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უნდა მოამზადოს და განსაზღვროს მომავალი დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამხედრო მოწყობის ძირითადი საკითხები.

ამ კონკრეტული, უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სჭირდება საერთო სახალხო ძალისხმევა, ნდობის მანდატი, რომელიც გაცემული იქნება საქართველოს მოსახლეობის მიერ უშუალოდ. ვინაიდან დღევანდელ საქართველოში არცერთ ორგანიზაციას არა აქვს უფლება განაცხადოს პრეტენზია იმაზე, რომ ის გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას, ჩვენ, საქართველოს ეროვნული ყრილობის მონაწილეებს მიგვაჩნია, რომ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის მეშვეობით საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევა მოცემულ ეტაპზე ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენს. ეროვნული კონგრესი იქნება ის ორგანო, რომელიც მიიღებს ქართველი ხალხისაგან ნდობის მანდატს მისი ნების გამოხატვაზე.

საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევის შემდეგ შეიქმნება ვითარება, როდესაც შესაძლებელი გახდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინირებული წარმართვა და საქართველოში არსებული ხელისუფლების სტრუქტურების ტრანსფორმაცია და მათი ამოქმედება ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად. ამგვარ ვითარებაში მთელ რიგ ორგანიზაციებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ხელისუფლების არჩევითი ორგანოების ფორმირებაში მონაწილეობა, წარმომადგენლობითი ხელისუფლების დაკომპლექტება იმპერიისადმი ოპოზიციური ძალებით. ნაწილი პოლიტიკური ორგანიზაციებისა თვლის, რომ საქართველოში არსებული ხელისუფლების სტრუქტურების ქართველი ერის ინტერესების შესაბამისად ამოქმედება უნდა მოხდეს მხოლოდ მათზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კონტროლისა და საზოგადოებრივი აზრის დაწოლის შედეგად. ორივე მხარე ინარჩუნებს უფლებას იმოქმედოს თავისი პროგრამებისა და სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმების შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული კონგრესის იდეამ უკვე შეასრულა მნიშვნელოვანი როლი ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ იდეის გარშემო გაერთიანდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგომი ორგანიზაციები, საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ამის საფუძველზე გახდა შესაძლებელი საქართველოს საყოველთაო ყრილობის მოწვევა და მისი წარმატებით მუშაობა.

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება: საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე საქართველოს მოსახლეობის მიერ არჩეულ იქნას საქართველოს ეროვნული კონგრესი, რომელიც წარმოადგენს:

1. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელ, მაკოორდინირებელ ორგანოს;
2. აღჭურვილია ქართველი ერისა და საქართველოს მოსახლეობის ნდობის მანდატით და ამ საფუძველზე არის საქართველოს მოსახლეობის უზენაესი ნების და მისწრაფების გამომხატველი;
3. ოკუპაციის პირობებში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალურ აღდგენამდე არ იღებს თავის თავზე ხელისუფლების ფუნქციას;
4. უფლებამოსილია უკიდურეს შემთხვევაში გამოაცხადოს ეროვნული დაუმორჩილებლობა. იბრძოლოს იმისათვის, რომ აღიარებულ იქნას, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი;
5. როგორც ქართველი ერისა და საქართველოს ნების გამომხატველი, უფლებამოსილია აღძრას საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის საკითხი საერთაშორისო სამართლებრივი წესით.

საქართველოს ეროვნული ყრილობა მოუწოდებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმულ ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებას, ქართველ ერს, საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

თბილისი, 1990 წლის 25 მაისი

# ეროვნული ფორუმის წარმომადგენელთა განცხადება

დღეს, როდესაც ეროვნული მოძრაობის რადიკალური და ლიბერალური ფრთები გაერთიანდა, და მთელი ერი, სრულიად საქართველო ეროვნული კონგრესის არჩევნების კარიბჭესთან დგას, ... ხალხმა გაარკვიოს, თუ რაზე ... ეროვნულ მოძრაობაში ... არის პოლიტიკურ ორგანიზაციათა შორის განხეთქილებისა ...

ჩვენ, ეროვნული ფორუმის ოთხი წარმომადგენელი, ვიწვევთ ტელევიზიაში ზვიად გამსახურდიას ... წ. „მრგვალი მაგიდის“ ... სამ წარმომადგენელს, ბოლო მოეღოს მითქმა-მოთქმას, ჭორებს და ქართველმა განსაჯოს, თუ ვინ არის ... და ვინ — მართალი..

სასურველია, ტელედებატები შედგეს ... ივნისამდე, რადგანაც ... შემდეგ ზოგიერთი ... თბილისში არ იქნება.

27 მაისი, 1990 წ.

გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი, ზურაბ გო... [illegible]

[illegible]

# ნათელი სხივი

[illegible]

... ისე საერთაშორისო მნიშვნელობით.

მოცემული გზა უზრუნველყოფს იმას, რომ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს კანონიერი მოსახლეობის უმრავლესობა და შესაძლებელია მას მხარი დაუჭიროს არაქართველი მოსახლეობის იმ ნაწილმა, რომელიც შედარებით მყარია, როგორც დემოგრაფიული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

აღნიშნულის გამო მიგვაჩნია, რომ მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ კონცეფციას მხარს დაუჭერს ქართველი ერის უმრავლესობა, რაც მისი წარმატებული განხორციელების საწინდარი იქნება.

აქედან გამომდინარე, ჩვენის აზრით, მიზანშეწონილია, კრიზისული სიტუაციიდან უსწრაფესად გამოსვლის მიზნით, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებების გაერთიანება მრგვალი მაგიდის პოლიტიკური კონცეფციის ირგვლივ. ეს ყოველივე დააჩქარებს ჩვენს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. კარგი იქნებოდა ყურად გვეღო სახარებისეული შეგონება: „სხეულის სანთელი არის თვალი. თუ შენი თვალი წმიდაა, ნათელი იქნება შენი სხეულიც“.

ცხადია აღნიშნული კონცეფცია არაა უნაკლო და მოითხოვს შემდგომ დახვეწასა და განვითარებას. აქედან გამომდინარე გვაქვს, შენიშვნებიც: 1. ჩვენის აზრით, რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლა შეუძლებელია დამოუკიდებლობის გამოცხადების გარეშე; 2. ასევე, შეუძლებლად მიგვაჩნია მოქმედი კონსტიტუციის შეჩერება დამოუკიდებლობის მიუღებლად; 3. გარდამავალი პერიოდის დროებითმა მთავრობამ უნდა დააბრუნოს 1921 წლის კონსტიტუცია ყოველგვარი არჩევანის გარეშე, რადგან იგი გარეგანი ძალადობის შედეგად იყო დროებით შეჩერებული და გამოხატავდა ქართველი ერის ნებას, ამასთან მიჩნეული იყო საერთაშორისო სუბიექტად. ოღონდაც ამის განხორციელებაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ.

ზურაბ ბაგნიძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა დამოუკიდებელი ასოციაციის პრეზიდენტი.

# ილიას სიდიადე



ილიას სიდიადეს კარგად ხედავდნენ მისი თანამედროვენი და შემდგომი ხანის ქართველები. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იყო ქართველობის ვიწრო წრე. ფართო მასებისათვის ჩვენი დიდი მოღვაწე და მოაზროვნე გაუგებარი დარჩა. უკეთეს შემთხვევაში მასში „კაკო ყაჩაღისა“ და „გლახის ნაამბობის“ ავტორს თუ ხედავდნენ. გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩვენი ისტორიის სარბიელზე გამოვიდნენ სოციალ-დემოკრატები, რომელთათვისაც ეროვნული საკითხი ზედმეტი გახდა. მათ მიაჩნდათ, რომ ისტორიის დღის წესრიგში იდგა სოციალიზმის შენება, ხოლო ამ ახალი წყობილების დასამკვიდრებლად ერის თავისუფლებაზე ფიქრი, ლაპარაკი და, მითუმეტეს, პრაქტიკული ზრუნვა ფუჭი და ამაო იყო. ეროვნული საკითხით დაინტერესებულთ ისინი „ნაციონალისტებს“ უწოდებდნენ, ცხადია, სიტყვის ცუდი მნიშვნელობით. პირველ ნაციონალისტად კი ქართველი სოციალ-დემოკრატები თვლიდნენ ილიას.

როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს. ფაქტია, რომ ჩვენი ცხოვრების წამყვან ძალად იქცნენ სწორედ სოციალ-დემოკრატები — ილიას მოწინააღმდეგენი, ილიამ და მისმა მომხრეებმა კი საზოგადოებაზე დიდი გავლენა ვერ მოახდინეს შესაბამისად. გაბატონებული გახდა ილიაზე ის ვიწრო, ცალმხრივი შეხედულება, რომელიც ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძეს და სხვა სოციალ-დემოკრატებს ჰქონდათ.

ოცდაათიანი წლების შუახანებში ოფიციალურმა აზროვნებამ აღიარა ილიას ეროვნული მოღვაწეობის დიდი როლი, მაგრამ ეს მოხდა იმ საერთო განწყობილების ფონზე, რომ საქართველო თითქოს დიდად ბედნიერი ქვეყანა იყო; აშენებდა ყველაზე მოწინავე საზოგადოებას და თანაც, რასაკვირველია, თითქოს ეროვნული საკითხი მისთვის საბოლოოდ გადაჭრილი იყო. ამგვარი აზროვნებისას, ადვილი მისახვედრია, ილიას სიდიადე და აქტუალურობა მთელი ძალით ვერ წარმოჩინდებოდა.

მაგრამ მოვიდა ეროვნული გამოფხიზლება -გამოცოცხლების დრო და ახლებურად, მთელი ბრწყინვალებით აელვარდა ილიას სახელი. ილიას იუბილესათვის რომელიც 1987 წელს მოეწყო, ქართველობა რამდენიმე წელს ემზადებოდა. ამ წლების განმავლობაში ჩვენ ახლებურად აღვიქვით დიდი ეროვნული მოღვაწის საქმიანობისა და აზროვნების საზრისი. ამჯერად ეს მოხდა და ხდება ფართო საფუძველზე. არა მხოლოდ პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენცია და სტუდენტობა, არამედ ქართველთა ფართო ფენები თანდათანობით აცნობიერებენ თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა ილია.

ჩვენ, ქართველები, საბედნიეროდ, მდიდარი ვართ წარსულის დიდი ისტორიული მოღვაწეებით. მაგრამ ყველაზე აქტუალური მათ შორის მაინც ილია გახდა.

პირველ ყოვლისა ეს მოხდა ილიას მრავალმხრივი ნიჭის წყალობით. იგი იყო არა მარტო მშვენიერი პოეტი და პროზაიკოსი, არამედ ღრმა მოაზროვნეც, რომელმაც დიდი კვალი დაამჩნია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას. ისტორიოგრაფია (საისტორიო მეცნიერება), სამართალმცოდნეობა, პოლიტეკონომია, სოციოლოგია, პუბლიცისტიკა, სალიტერატურო კრიტიკა და ა. შ. — აი ის სფეროები, რომლებსაც ილიას მადლიანი ჭკუა-გონება შეეხო. ასე რომ, ილიაში, როგორც ვხედავთ, შერწყმული იყო, თანაარსებობდა პოეტიც, მწერალიც, მეცნიერიც და ფილოსოფოსიც. ეს კი საერთოდ საკმარისი იყო იმისათვის, რომ ამგვარი ნიჭის მატარებელ პიროვნებას დიდი ადგილი დაეკავებინა ერის ისტორიაში. მაგრამ ილია კიდევ უფრო დიდი ნიჭის მქონე აღმოჩნდა. იგი გახლდათ დიდი პრაქტიკოსიც. რედაქტორი (ჟურნალისა და გაზეთისა), ბანკის დირექტორი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, მრავალი საზოგადოებრივი საქმის წამომწყები, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ე. ი. პოლიტიკოსი — აი, რა სოციალური როლები შეასრულა ილიამ პრაქტიკულ სფეროში. თუ არა, ბედკრული საქართველოს მდგომარეობა (ბედკრული გარეშე და საშინაო მტრების სიმრავლის გამო), ილიას შეეძლო ნებისმიერი დიდი ქვეყნის დიდი პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი გამხდარიყო (სხვათა შორის, მსგავსი აზრი ილიას შესახებ გამოსთქვა ი. ბ. სტალინმა — ილიას ანტიპოდმა საქართველოს ისტორიაში).

მაგრამ მხოლოდ ილიას ნიჭის მრავალმხრივობა ვერ აგვიხსნის ამ ისტორიული პიროვნების აღზევებას (მით უფრო მომავალში!) ქართველობის თვალში. ამას ხელს უწყობს ჩვენი ისტორიული ბედიც. საქმე იმაში გახლავთ, რომ ილიას იდეალები, ეროვნულიც და სოციალურიც, განუხორციელებელი რჩება. ილუზიაა, რომ საქართველო დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა გახდა, გაჭქრა. ასევე წარსულს მიეცა ის დროც, როცა ჩაგვჩიჩინებდნენ და საზოგადოების ნაწილმაც დაიჯერა, რომ საქართველოში მოისპო სოციალური უსამართლობის პრობლემა. ერთი სიტყვით, ჩვენ, დღევანდელი ქართველობა ბევრ მხრივ თითქმის იგივენაირ სინამდვილეში ვცხოვრობთ, როგორშიც ცხოვრობდა ილია. აქედან გამომდინარე, ბევრ მხრივ იგივენაირი პრობლემები გვაქვს გადასაწყვეტი, როგორიც ჰქონდა ილიას და მის თანამოაზრეებს. აი მიზეზი, რაც უაღრესად აქტუალურს ხდის ჩვენს დიდ მოღვაწესა და მოაზროვნეს. აღნიშნული მიზეზის წყალობით ილიას როლი საქართველოს ისტორიაში ამოწურული არაა, ეს როლი ახლებურად წარმოჩნდება ჩვენს მომავალ ისტორიაში, რომელმაც ეროვნული თავისუფლება უნდა მოგვიტანოს.

არც ერთი თანამედროვე ქართველი პოეტი არ გვეუბნება იმდენ რამეს, რაც უკვე გვითხრა ილიამ. ამის დასადასტურებლად რამდენი ერთი მაგალითი მოვიტანოთ:

[illegible]

მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“

ეს სტრიქონები დაწერილია 1861 წელს, ე. ი. 128 წლის წინათ. მაგრამ ვთქვათ არ დაწერილიყო და ახლა დაიწერა, განა ზედგამოჭრილი არ იქნებოდა ჩვენი დღევანდელი ყოფა-ცხოვრებისათვის!

მოვიგონოთ ლექსი „გუთნისდედა“, სადაც ილია ლაბა ხარს წარსულში ქართველი კაცის განუყრელ თანამგზავრს, ესაუბრება:

„შენ ვერ გაიგებ მეტყველის
ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს
გულში ჰკლავს!..
აქ, მენდე, ლაბავ, ჩემი
უღელი
შენს უღელზედა უფროა
ძნელი“.

განა იმავე ყოფაში არ აღმოჩნდნენ ნაღდი ქართველი პატრიოტები და მოაზროვნეები ათეული წლების მანძილზე, როცა თავისუფალ აზროვნებას, მართალ სიტყვას საქართველოში, ისევე როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, დიდი აკრძალვები ჰქონდა. ეს კიდევ რბილად ნათქვამი გამოგვივიდა. უფრო ზუსტად, როცა მართალი სიტყვისათვის კაცს ფიზიკური განადგურება ან შორეული აღმოსავლეთი ელოდა.

„ჩემო კარგო ქვეყანავ,
რაზედ მოგიწყენია?..
აწმყო თუ არა გვწყალობს,
მომავალი ჩვენია“.

ეს სტრიქონები ხომ გალვიძებული, მომავლისკენ შემართული ქართველობის ჰიმნად იქცა. ვიმეორებთ, რომელმა დღევანდელმა ქართველმა პოეტმა შეძლო, რომ მისი ლექსი მოწინავე ქართველობის ყველაზე პოპულარულ სიმღერად ქცეულიყო. ფაქტია, რომ ეს შეძლო ჩვენი წარსულის პოეტმა.

რომელმა ქართველმა პოეტმა შექმნა ბრწყინვალე ოდა თავისუფლებისადმი? რასაკვირველია, ილიამ.

„თავისუფლებავ, შენ ხარ
კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის,
წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და
სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი
ღვთაებამდე კაცთა ბუნების“.

მოდით ახლა ჩვენთვის საჩოთირო თემას შევეხოთ. ჩვენ, ქართველები უნაკლონი ვჩანვართ ჩვენზე სადღეგრძელოების წარმოთქმისას. სინამდვილეში ქართველობას ბევრი რამ ნაკლი გვახასიათებს. ამის თაობაზე ილიამ, როგორც ცნობილია, დაწერა მშვენიერი ლექსი „ბედნიერი ერი“, სადაც თვით სათაურშივე დასურათებულია ჩვენი ეროვნული ცხოვრების სიდუხჭირე და შესაბამისად ხასიათის უბადრუკობა.

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მძიმე ყალნით,
ლამაზ ფალნით,
მორთული და მშვენიერი“.

როგორი სიტყვებია მოხმობილი ქართველთა დასახასიათებლად? — „უშფოთველი“, „ქვემძრომი“, „ყოვლად მთმენი, ვით ჯორ-ცხენი“, „თვალაბმული“, „ყველა ყრუი, ყველა ცრუი“, „ყველა ფლიდი, ცუღლუტი და მანკიერი“ და ა. შ. ილია ამგვარად „ამკობდა“ თავის თანამედროვე ქართველობას (ლექსი დაწერილია 1871 წელს). მაგრამ [illegible] ... უთქვამს ისეთი სიტყვა, როგორც პოეტმა. ილიამ. ასევე არც ერთ თანამედროვე პოეტს არ დაუწერია იმგვარი სატირული ისტორია საბჭოთა პერიოდის საქართველოს [illegible]

შესახებ, როგორიც დაწერა ილიამ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოზე (მხედველობაში გვაქვს „რა ვაკეთოთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“).

ჩვენს დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში მწვავე პრობლემად რჩება „ჩატეხილი ხიდის“ საკითხი, რაც ილიამ დააყენა თავის დიდებულ „ოთარაანთ ქვრივში“. ფაქტია, რომ დღევანდელ საქართველოში ადგილი აქვს მოწინავე, პროგრესული ძალების ურთიერთგათიშულობას, მაშინ როცა ისტორიული ვითარება გაერთიანებას, კონსოლიდაციას საჭიროებს (ჩვენ, რა თქმა უნდა, იმთავითვე გამოვრიცხავთ კონსოლიდაციას საზოგადოების ჩამორჩენილ, კორუმპირებულ ნაწილთან), მაგრამ ამ... ილია გვიქადაგებდა არა მხოლოდ „ოთარაანთ ქვრივში“, არამედ მთელ აზროვნებასა და პრაქტიკულ მოქმედებაში. თუმცა ილიას მოწინააღმდეგეებმა, ყველაფერი იღონეს და დიდი წარმატებითაც, რომ ქართველობა საერთო მიზნისაგან აეცილებინათ და ურთიერთ დაეპირისპირებინათ. ისტორიამ კარგად აჩვენა თუ როგორ მართალი იყო ილია და როგორ მწარედ სცდებოდნენ მისი მოწინააღმდეგენი. ისტორიის სწორი გაკვეთილის აღთქმა-შეთვისება ძვირად დაგვიჯდა, რა უგუნურნი ვიქნებით თუ წარსულის შეცდომას კვლავ გავიმეორებთ. და რომ არ გავიმეოროთ, ამისათვის უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ ილიას ნააზრევი და პრაქტიკულად ნაღვაწი.

ისტორიის მსვლელობა მხოლოდ ჩვენს ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული. ადამიანთა ამაღლებულობა მინერალურ, მცენარეულ, ცხოველურ და ა. შ სამყაროსთან შედარებით იმაშიცაა, რომ ვისახავთ მიზნებს და ვილვწით მათს განსახორციელებლად. მაგრამ მიუხედავად ამისა, მხოლოდ მიზნებით კი არ უნდა შემოვიფარგლოთ, არამედ ანგარიში გავუწიოთ ისტორიის ობიექტურ მსვლელობასაც, რაც ჩვენზე არაა დამოკიდებული. თუ ასე არ ვიმოქმედეთ ჩვენ დონ-კიხოტის მდგომარეობა... [illegible] ... თამაშობს იგი დიდ როლს მომავალი თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს დამკვიდრებაში.

ზურამ ყორანაშვილი

# ონში გაფიცვა შეწყდა

რესპუბლიკურ პრესაში, მათ შორის ჩვენთანაც ორჯერ, დაიბეჭდა ინფორმაციები ონში მიმდინარე გაფიცვის შესახებ, რომელიც თითქმის მთელი სამი თვე გრძელდებოდა. გაფიცვის პერიოდში რაიონში უაღრესად დაიძაბა სიტუაცია ორივე მხარეს შორის.

გაფიცულები (4 პიროვნება) უნდობლობას უცხადებდნენ რაიონის ხელმძღვანელობას, მოითხოვდნენ კულტსახლის დირექტორის და მასთან დაახლოებული რამდენიმე პირის თანამდებობიდან განთავისუფლებას.

კონფლიქტში ჩაერია ფართო საზოგადოებრიობა. საქმე შეისწავლა რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ. გაფიცულთა მოთხოვნები უსაფუძვლოდ ჩაითვალა და გაფიცვა შეწყდა.

შეწყდა, მაგრამ გაფიცვას მორალური თვალსაზრისით უკვალოდ არცერთი მხარისთვის არ ჩაუვლია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლა საქართველოში პიროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, მსგავსი საპროტესტო აქციები არ უნდა ტარდებოდეს.

საკუთარი ინფორმაცია

# „კათოლიკოსი" თუ „კათალიკოსი"?

**ასეთი** სათაურით 16 თებერვლის „ლიტერატურულ საქართველოში" დაისტამბა ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის ბატონ რევაზ ჯაფარიძის წერილი.

დიდხანს ველოდებოდი ვინმე კომპეტენტური პირის გამოხმაურებას, რადგან ვფიქრობდი და მგონია, საფუძვლიანადაც, რომ პოლემიკაში ჩაბმა და რაიმე კატეგორიული აზრის გამოთქმა ჩემს (როგორც არაპროფესიონალის) კომპეტენციაში არ შედის, რამეთუ ერთი საქმეა ღრმა რწმენა, ცოდნა იმისა, რომელია სწორი — „კათოლიკოსი" თუ „კათალიკოსი" და მეორე უმთავრესია — სხვაც დაარწმუნო შენი აზრის სისწორეში. მართალი მოგახსენოთ, თავი არ მეიმედება და „ბრძოლა" დაწყებამდე მგონია წაგებული, მაგრამ განა იმიტომ, რომ ვცდები და მართალი არა ვარ, არამედ უფრო იმიტომ, რომ უჩინარი, პატარა და არაკალმოსანი კაცი გახლავართ და ვერც უნდა ვბედავდე „შებმას" უზარმაზარ ავტორიტეტთან, მით უფრო, რომ კარგად ვიცი — ჩვენში ჭეშმარიტება კამათში არ იბადება, „ჩვენებური ჭეშმარიტება" თვითნაბადი როდია, იგი ავტორიტეტთან შენადნობი ოქროა. ასეთი ფორმულით: ჭეშმარიტება + ავტორიტეტი = ილექრო.

ასე რომ, კარგად მესმის ჩემი მდგომარეობა, მაგრამ რაკი არ დაადგა საშველი და წერილს კრიტიკულად არავინ გამოეხმაურა, პრესაში კი თითქმის უკვე დამკვიდრდა „კათალიკოსი", გადავწყვიტე, დამეძლია მოკრძალება და გამომეთქვა ჩემი აზრი ერთი იმედით — იქნებ ვინმე ღვთისმიერი წამომეშველოს და შემეწიოს გოლიათთან შერკინებაში თავის „ძლიერი მკლავით", რამეთუ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მართალი კი ვარ, მაგრამ, თუ უნდა, აბა სიმართლეს უნდა დამტკიცება!

ბატონ რევაზ ჯაფარიძის წერილი მცირე ფორმისაა და ვფიქრობ, ესეც ერთგვარი მინიშნებაა ავტორის კატეგორიულობასა და დაუეჭვებლობაზე, რომ სწორი ფორმაა „კათალიკოსი" და არა „კათოლიკოსი".

პატივცემული ავტორი იმოწმებს „ქართლის ცხოვრებას".

მე ერთი წამითაც არ დავეჭვებულვარ ბატონ რ. ჯაფარიძის კეთილსინდისიერებაში და ამიტომ არ მიჩხრეკია „ქართლის ცხოვრება", მაგრამ ეჭვი შემეპარა ავტორის მიერ დამოწმებული „ქართლის ცხოვრების" ავტორთა შეუმცდარობაში და ამიტომ ჩავიხედე საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში". ჩემს ხელთ არსებულ გ. ახვლედიანის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში" ვერც „კათოლიკოსი" ვიპოვე და ვერც „კათალიკოსი". ისე კი, თუ გულახდილი ვიქნები, „კათალიკოსი" ბუნებაში, გარდა სომხური ენისა (პატრიარქ-კათალიკოს), არც მეგულვებოდა. არ მეგულვებოდა იმიტომაც, რომ ეს სიტყვა არაქართულია, შემოსულია სხვათა ენიდან და იმ ენაზე ამ სიტყვის ფუძე გახლავთ „კათოლიკ" და არა „კათალიკ". აქედან კი საჭიროებისამებრ მომდინარეობს აზრობრივად ტრანსფორმირებული „კათოლიციზმი", „კათოლიკე", „კათოლიკური" და სხვაც.

დიახ, ჩავიხედე საბა ორბელიანის ლექსიკონში და ამოვიკითხე: „კათოლიკე — საყოველთაო". აკი მოგახსენეთ, რომ სხვაგვარად არც მოველოდი, თუმცა გულს მაინც მომეფონა, რამეთუ კარგია, როცა დიდი საბა დასტურს იძლევა. კარგია, როცა სრულიად ნათელი და იოლადასახსნელი ხდება (სხვისთვისაც) ჩვენი მართლმადიდებელი (და არა მართლმადიდებლური) ეკლესიის მრწამსიდან ფრაგმენტი:

„...(მრწამს)... ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია"... ამდენად, რაც შეეხება ნეოლოგიზმს, როგორც ბატონი რ. ჯაფარიძე უწოდებს „კათოლიკოსს", აქ საქმე სწორედაც პირიქით გახლავთ, ნეოლოგიზმი სომხურის გავლენით უფრო „კათალიკოსია" და არა „კათოლიკოსი".

„კათოლიკოსი" გადაპრანჭული ტერმინიაო — ბრძანებს ავტორი. ეს უკვე მეტისმეტია. ჯერ ერთი, სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელის ტიტულს, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერაფრით გადაპრანჭავ. პატივცემულ ავტორს, ეტყობა, აღიზიანებს ბგერა „ო" — ამაყი, ზვიადი და დიდებული ბგერა და არა პრანჭია და ყელყელავა ქარ..., როგორც თავად ფიქრობს, მაგრამ ეს უკვე სმენის საქმეა, მუსიკალური სმენის, და არა უბრალო ახირება. აქ უკვე პატივცემული ავტორის ყურია „დამნაშავე" და არა დინჯი, არისტოკრატული „ო". „კათალიკოსი" კი არ შეიცვალა „გადაპრანჭული კათოლიკოსით", არამედ პირიქით: ზეპირმეტყველებასა და შემდეგ მწერლობაშიც (ქართლის ცხოვრება) სომხურის გავლენით „კათოლიკოსი" დამახინჯდა, დამჭლევდა, წარმოსათქმელად გაიოლდა და იქცა „კათალიკოსად".

დავწერე ეს სიტყვა და გონებაში მეყსეულად გამიელვა კადრმა კინოფილმ „დიდოსტატის მარჯვენიდან": აკაკი ვასაძე — ფარსმან სპარსი როგორი ზიზღით და პამპულობით წარმოთქვამს მელქისედეკ კათოლიკოსის მისამართით — „ქათალიკოზიო".

თქვენ წარმოიდგინეთ, ბატონო რევაზ, აი, სწორედ ის ზვიადი და ომახიანი ბგერა „ო" არ მისცემდა მის წარმომთქმელს ამ სიტყვის გაცუცურაკების საშუალებას.

ასე რომ, თვით სიტყვის გაუკუღმართებული ფორმა და ამაყ, დიდებულ „ო"-სთან შედარებით დამცრობილ-დამჭლევებული „ა" განაპირობებენ მისი გაუბრალოება-გაცუცურაკების შეგრძნებას.

„კათოლიკე — საყოველთაო" — ბრძანებს საბა ძალიან მოკლედ და კონკრეტულა[illegible] და თუ დიდი საბა „მართლად [illegible]ძანებს", რაშიაც, ალბათ, ბა[illegible]ნი რ. ჯაფარიძეც ვერ შე[illegible]ანს [illegible], მაშინ აქედან ერთი ლოგი[illegible] დასკვნის გაკეთება შე[illegible]: კათოლიკებმა თავ[illegible] [illegible]უნოებას (ქრისტიანუ[illegible]) მის მრწამსის, აღმსარებლობ[illegible] თავისებურებათა და სხვათაგა[illegible] ხსხვავებულობის გამო კი არ უ[illegible] დეს „კათოლიკური", უბრალოდ [illegible] საქმე გვაქვს აშკარად გამჟღავებულ ამბიციურობასთან — აქაოდა, ჩვენი სარწმუნოება მასშტაბური, გლობალური, საყოველთაოაო.

ამბიციურობასთან დაკავშირებით:

რომის ეკლესიის ცხოვრებიდან გვახსოვს „ანტიპაპობის" გრძელი პერიოდი. იყო წლები — სამი პაპი „პაპობდა", „საყოველთაო" ბატონობას ჩემულობდა, ყოველი მათგანისთვის ორი დანარჩენი „ანტიპაპი" გახლდათ.

სომხურ ეკლესიაში, მგონია, დღესაც არსებობს „სრულიად სომეხთა" ორი პატრიარქ-კათოლიკოსი, ერთი საკუთრივ სომხეთში, მეორე — საზღვარგარეთ (თუ არ ვცდები — სირიაში), ორივე იჩემებს კათოლიკოსობას, ე. ი. „ყოველთა სომეხთა" მეთაურობას, „საყოველთაოდ" სომეხთა ზედა მამამთავრობას; დიახ, ესეც პრეტენზია გახლავთ „საყოველთაოობაზე".

მთლად ასეთი თუ არა, რაღაც ამის მსგავსი მაინც არის ორი კათოლიკოსის არსებობა ფეოდალურ საქართველოში. მის წარმომშობ მიზეზთა ახსნა სხვა თემაა და დიდ დროსა და ადგილს მოითხოვს, ახლა კი მინდა, შევეხო ბატონ რ. ჯაფარიძის მიერ განსაზღვრება „მართლმადიდებლურის" არასწორად ხმარებას. ხსენებულ წერილში ავტორი ჩვენს ეკლესიას ორჯერ თუ სამჯერ მოიხსენიებს, როგორც „მართლმადიდებლურ ეკლესიას".

თუ კორექტურა გამორიცხულია, რაშიც ეჭვი არ მეპარება, მაშინ ვინ-ვინ და ცნობილმა მწერალმა კი უნდა უწყოდეს, რომ ეკლესია, როგორი აღმსარებლობისაც უნდა იყოს, გარკვეული პირი, ინდივიდუმია და, როგორც პირი, ინდივიდუმი, არ შეიძლება მოვიხსენიოთ, როგორც „მართლმადიდებლური"; ისევე, როგორც კაცი, პიროვნება, ინდივიდუმი არ შეიძლება იყოს „გაბედული", „ჭკვიანური", „გონებამახვილური" და სხვათა ათასი „ული" და „ური". ასევე არ შეიძლება იყოს „მართლმადიდებლური", არამედ „გამბედავი", „ჭკვიანი", „მართლმადიდებელი" და სხვა.

მართლმადიდებლური არსებობს მრწამსი, აღმსარებლობა, დოგმატი, საიდუმლოებანი, ლოცვები და ასე შემდეგ.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ერთი საკითხის გამო ვთქვა ორიოდე სიტყვა (ეს, ცხადია, ბატონ რ. ჯაფარიძის სტატიას არ ეხება).

ამ ბოლო წლებში ჩვენი გაზეთების ფურცლებზე დამკვიდრდა ერთი უმართებულო, შეუსაბამო გამოთქმა: „უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე". ეს წმინდა წყლის პარადოქსია, რომელსაც არსებობის უფლება არ გააჩნია. თუკი კაცი ჩვენს გვერდით, ჩვენს მიწაზე, ჩვენს მამულში არ ცხოვრობს, როგორღაა ჩვენი თანამემამულე?! ჩვენი თანამემამულეა ყველა ქართველი და არაქართველი (რუსი, სომეხი, ოსი, თათარი, აფხაზი), რომელიც ჩვენს გვერდით, ჩვენს მიწაზე, ჩვენს მამულში ჩვენნაირივე უფლებით ცხოვრობს, ხოლო ჩვენი ჯიში და ჯილაგი, სისხლი და ხორცი — ქართველი, რომელიც უცხოეთში ცხოვრობს და არა საქართველოში, **თვისტომია** ჩვენი და არა ჩვენი **თანამემამულე**. ნუ შეგვაშინებს აზრობრივი ტავტოლოგია **„ჩვენი თვის — ტომი"**. ისე კი „ჩვენის" გარეშეც შეიძლება იოლად გასვლა; უაზრო პარადოქსს, შეუსაბამობას მაინც ეს სჯობია.

**დეკანოზი პავლე ბერიშვილი**

**გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ დემოგრაფიული საზოგადოების ფონდში.**

# 71 წლის წინათ

1919 წლის 26 მაისს, გამოვიდა სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" (რედაქტორი იოსებ იმედაშვილი) № 6.

პირველ გვერდზე არის მოწოდებები: „გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში". „გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!"

„ძლვნად თავისუფალ სამშობლოს (მაისის 26 სამახსოვროდ), მოქალაქენო სამშობლო აღსდგა!! მოგილოცავთ 26 მაისს". პირველ გვერდზე არის საქართველოს სახელმწიფო გერბი და საქართველოს მაშინდელი მთავრობის წევრთა სურათები. მეორე „გვერდზეა იოსებ იმედაშვილის აღფრთოვანებული წერილი სათაურით „დღე დიდებისა" ი. იმედაშვილი წერს „... თავისუფლების სხივებმა მაისის 26 გამოგვიშუქა და ეს დღე აღარ მოკვდება... აღარ მოკვდება... მისი მონაპოვარი". მესამე გვერდზე კი შალვა დადიანის წერილი, ქართველი მსახიობი: „...ისე ვის შეჰფერის მაინც ამ დღესასწაულით გახარება, როგორც ქართველ ხელოვანს, მწერალს, მუსიკოსს, მხატვარს და... განსაკუთრებით კი ქართველ მსახიობს". იმავე გვერდზე მოთავსებულია კ. მესხისა და კ. ყიფიანის სურათები წარწერით: „მსახიობნი, რომელნიც იდეურად ემსახურებოდნენ საქართველოს განთავისუფლებას".

ჟურნალში ყურადღებას იქცევს ჯარისკაც სირაძის წერილი „ოცდა ექვსი მაისი", რომელსაც აქვე გთავაზობთ: „ისტორიის ჩარხი, როგორც უნდა დატრიალდეს საქართველოში 27 მაისი დარჩება საყვარელ საზეიმო დღედ.

ამ დღეს განთავისუფლდა მონობისაგან ქართველი ერი და წყეულიმც იყოს ის, ვინც კვლავ მონობას მოუნდომებს ქართველობას.

ოცდაექვს მაისს ქართველი ხალხი დაინახავს თავის მტერსაც და მოყვარესაც. მტერი პირქუშად იუდასავით განდგომილი ივლის გარე-გარეთ და მოყვარე კი ღიმილით მოგვილოცავს დიდებულ დღეს და ჩვენთან ერთად შემოსძახებს: დიდება და გამარჯვება კეთილშობილ ქართველ ერსო!

ქართველი ხალხი არავის არაფერს ედავება, არც არავის აპეკუნობას ეხვეწება: დაგვანებონ თავი და სულ მალე უჩვენებთ ქვეყანას, თუ როგორ უნდა სახელმწიფოს შექმნა, ერებთან სოლიდარობის დამყარება. ის ერი, რომელმაც ოცი საუკუნე იცოცხლა და გადაიტანა მრავალგვარი უბედურება და ქარტეხილი, მტერსაც იგერიებდა და სახელმწიფოებრივ ფორმებსაც ჰქმნიდა, დღესაც შესძლებს სხვისი დაუხმარებლივ ცხოვრების მოწყობას. ჩვენ გვწამს ჩვენი ძალა და ამიტომ გვინდა დამოუკიდებელი ცხოვრებაც.

ერთი ქართველიც ნუ დარჩენილა ცოცხალი თუ კვლავ შეურიგდეს მონობას!

და 26 მაისი არის ჩვენი თავისუფლების დღე. ამ დღეს უნდა იგრძნოს ყოველმა ქართველმა ძალა ეროვნული სიამაყის და სიამოვნების".

აღნიშნულ წერილში, საოცარი აღფრთოვანებაა, რაც ოცდაექვსმა მაისმა მოუტანა საქართველოს როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ისტორიის ქარცეცხლში გამოვლილი ქართველი ხალხი „არავის არაფერს ედავება", ამავე დროს, არც არავის ეხვეწება მფარველობასა და მზრუნველობაზე, რადგან საკუთარი ძალისა სწამს.

საერთოდ აღნიშნულ ჟურნალში, საინტერესო წერილები და ლექსებია დაბეჭდილი, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის შედეგად მიღებული, სიხარულსა და განცდებს გადმოგვცემენ. აქვეა დაბეჭდილი დ. ჰანჭათელის ლექსი „დღესასწაული", დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის წერილი „თავისუფალი საქართველო და ეკლესია", ვარლამ ძიძიგურის „ერის ზეიმი" და სხვა.

**პუბლიკაცია მოამზადა ზურამ ბასიტაშვილმა.**

# მიეძღვნა სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს

23-25 მაისს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საქართველოს თასის მეორე გათამაშება ათლეტიზმის ერთ-ერთ სახეობა ძალისმიერ სამჭიდში.

ეს იყო პირველი შეჯიბრება, რომელიც სულ ახლახან დაფუძნებული საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის ეგიდით ჩატარდა.

წონითი კატეგორიის მიხედვით ჩემპიონები გახდნენ:

52 კგ-მდე — **ვასილ ბიგუაშვილი** (თსუ „ამირანი")

56 კგ-მდე — **ივანე ამონაშვილი** („იხანი")

60 კგ-მდე — **მამუკა შენგელია** (ხილნალი „ამირანი").

67,5 კგ-მდე — **დავით მერაბიშვილი** (—„—)

75 კგ-მდე — **დავით დავითური** (თსუ „ამირანი")

82,5 კგ-მდე — **დავით ბექანიშვილი** (თელავი „ამირანი")

90 კგ-მდე — **სოლომონ ჩეკურიშვილი** (—„—)

100 კგ-მდე — **ალექსანდრე აბულაძე** („იხანი")

110 კგ-მდე — **ზურაბ ჭავჭანიძე** (თსუ „ამირანი")

125 კგ-მდე — **შოთა ბექაშვილი** (ხილნალი „ამირანი).

შეჯიბრებაზე დამყარდა საქართველოს 10 რეკორდი, რომელთაგან ერთი, დავით ბექანიშვილის ბუქნი 307,5 კგ-ით აღემატება სსრ კავშირის რეკორდს 305 კგ-ს, რომელიც ვიქტორ ლეკომცევს ეკუთვნის.

გამარჯვებულებს გადაეცათ ქართული ძალოსნობისა და ათლეტიზმის პატრიარქის, ახლახან გარდაცვლილი კოტე ზაუტაშვილის სახელობის თასები. შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნოდარ ფერაძე, მსაჯთა ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები ვლადიმერ სვეტილკო და რაფაელ ჩიმიშკიანი.

ხაზგასასმელია ერთი სასიამოვნო ფაქტიც.

ზემოთჩამოთვლილ ჩემპიონთაგან დავით ბექანიშვილს შეჯიბრების დღეს, 25 მაისს 40 წელი შეუსრულდა, ხოლო ზურაბ ჭავჭანიძეს — 37 წელი.

დამსწრეებმა გულითადად მიულოცეს მათ ეს თარიღი. რედაქციაც ულოცავს იუბილარებს და უსურვებს მათ ახალ უფრო დიდ წარმატებებს.

**ნატო კალმახელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოდარ ჯალაღონია

## დღეს საქართველო არ გვაპატიებს

I.

ხელზე ბორკილი ვიცით ძნელია
არც ციხის კარი არის ადვილი,
მაგრამ ათასჯერ საშინელია
როცა ბორკილებს სულზე გვადებენ.

სულის სიბნელეს ვერ გაანათებს
ვერც მზე ცისა და ვერც მზე სამოთხის.
თავისუფლება ვისაც წაართვეს
იმ ქვეყანაში მზე არ ამოდის.

უსამშობლოოდ ყოფნა ეს არის
თვალის დათხრა და ყოფნა წყვდიადში...
იქნება ნიჩბებს ისევ ლესავენ,
ისევ ასხამენ ბოლმას ტყვიაში.

გვიჯობს სულ მუდამ ულის ტარებას
გულზე საფლავის ლოდის დადება.
სულს არ ჭირდება სხვა ნეტარება,
თავისუფლების დღე თუ დადგება.

II.

რუსთაველზე დადის დღეს ლელთ ღუნია,
და ხანჯალივით დააქვს სიტყვები,
დღეს საქართველო დანაღმულია
რწმენით, იმედით და მიტინგებით.

მხოლოდ სამშობლოს სიყვარულია
ჩვენი ფარი და ჩვენი მახვილი,
ის 9-აპრილი ჩვენი სულია,
ბორკილებისგან უკვე დახსნილი.

გმირთა სახელი იქცა ზარებად
და იწვის როგორც სანთელ-საკმელი.
მე მელოდება და მენანება
9-აპრილამდე მკვდარი ქართველი.

ჩვენ კი აქამდე რაკი მოვედით,
ბედმა სხვა დღისთვის შემოგვინახა.
მუშა კაცი ხარ, თუ ხარ პოეტი,
ეს სულ ერთია დღეს შენ ვინა ხარ.

გუთნისდედა თუ დედა ცხრა შვილის,
მახვილისა თუ ფუნჯის პატრონი,
უნდა გვეჭიროს დროშა გაშლილი,
მამულზე ფიქრი არ მივატოვოთ.

თავისუფლების მზე ვერ ამოვა
თუ მისთვის ღამე არ გავათიეთ,
დუმილს, ლოდინს და განზე გადგომას
დღეს საქართველო არ გვაპატიებს.

საქართველოში სანამ ივლიან,
კაენის ცოდვით სანამ გაძლებენ.

საქართველოში სანამ ივლიან
ძმაბრგულები ბოღმის ისრიმით.
სამშობლოს ცრემლით მოზელილია
პური რომელსაც ჭამენ ისინი.

მტერი ისედაც ვიცით მტერია,
მაგრამ ათასგზის არის წყეული —
მტერზე ათასჯერ საშინელია
კაცი სამშობლოს სისხლს მიჩვეული.

II.

ნეტავ რა გულმა უნდა გაუძლოს
თქვენს ამდენ ცოდვა-ბრალის სიმძიმეს.
ან, როცა ხედავთ სიზმრებს გაუძლისს,
როგორ წვებით და როგორ იძინებთ.

ის 9-აპრილი როცა თენდება,
ნუთუ სინათლეს არ ემალებით.
მზეს რომ შეხედავთ არ გახსენდებათ
ტყვიით დათხრილი ბიჭის თვალები?

დიდის საშოში მოკლულ ჩვილისთვის
ნუთუ გული არ გეთანაღრება?
რა ეპოლეტის ანდა ჩინისთვის
ღირდა ამგვარი ცოდვის აღება.
ყველას კუთვნილი უნდა მიეზღოთ
მაგრამ პასუხიც მინდა ამაზე.
ნეტავ რა ჯილდო უნდა მიეღოთ
საქართველოზე უფრო ლამაზი.

თუმც მტერი ქვეყნის ღალატს გიფასებთ
ვერ გამიგია მაინც აქამდე.
რა უნდა მოგცენ უფრო ძვირფასი
შენი სამშობლო თუკი წაგართვეს.

III.

ისმის ცოცხლების ხმათა ღაღადი,
და საფლავიდან ამოძახილი:
—ეს სულერთია, სად ულალატე,
როდის ჩაეცი მამულს მახვილი.

კრწანისის ველზე მტერს შეატოვე
თუ წიწამურთან ტყვია ესროლე.
მიწა გაყიდე, თუ ის გვარ-ტომი
დღეს რომ აკლია მამულს ესოდენ.
მტერს შეეგებე კოცნა-ალერსით.
თუ ფიანდაზად შენს გულს უგებდი.
ჯალათს აწვდიდი ნიჩაბს ალესილს,
თუ ნარიყალას კარებს უღებდი.

ეს სულერთია, სულით კაენის
ვინც იმუხთლე და იმუხანათე.
ვინც ულალატე, ვინც დღეს ღალატობ,
ან საქართველოს ხვალ უღალატებ.

ეს სულერთია შენ რა გერქმევა
სერგო, ფილიპე თუ შადიმანი.
მეფე იქნები თუ ათაბაგი,
პრეზიდენტი თუ ცეკას მდივანი.

ეს სულერთია შენ ხარ ცოცხალი,
თუ წლებმა უკვე მიწად გაქცია.
არც საფლავი გაქვს, არც სალოცავი
რადგან სამშობლო არ გაგაჩნია.

## ერის მოღალატეები

„სამშობლოს მოღალატე ყოველგვარი სასჯელის ღირსია".

საქართველოს ძველი კანონმდებლობიდან.

I.

ისევ დავხვდებით ალესილ ნიჩბებს,
შევეგებებით სიკვდილს კვლავ ლოცვით.
მაგრამ რა ვუყოთ ამ იანიჩრებს,
ღალატს საკუთარ სისხლის და ხორცის.

ისევ ჩვენივე სისხლს შევაფურთხებთ
ყველა მკვლელს, ყაჩაღს და მოძალადეს.
მაგრამ რა ვუყოთ ამ ჩვენს მანქურთებს,
იმედისა და რწმენის ჯალათებს.

იმ სი-ესივით ისევ სისინებს
მათი სული და კარგად იციან.
წყალი, რომელსაც სვამენ ისინი
წყალი, კი არა, ხალხის სისხლია.

ხალხის ძვლებისგან გამოთლილია
ის ჩინ-მედლები და სავარძლები.

## ავტოკეფალია

**აღდგენილი იქნა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა — ავტოკეფალია.**

დღეს საქართველოს ბედთან მორჯინალს,
დღეებს მწუხარეს და ტკივილიანს
უკვე აეხსნა სულზე ბორკილი, —
ეს ნიშნავს ცისკენ გზა გახსნილია.

უფლის წყალობა და უფლის ნება
დაადგა ნათლად დღეს ერის სურვილს.
იწყება ქვეყნის თავისუფლება
თავისუფლებით რწმენის და სულის.

ალგეთს გაზრდილი ის მგლის ლეკვები
კი არ ლოკავენ, ღრნიან კბილებით,
მჯერა გაწყდება, მალე ღვთის ნებით
ხელზე რომ გვადევს ის ბორკილებიც.

## მიწაზე დადის სიკეთე ისევ

ჯვარზე გაკრულ და ნაწამებ ქრისტეს
მარადიული ცეცხლია მზე —
და ვგრძნობ ნელ-ნელა მივყევარ ცისკენ
იმ უსასრულო და უცნობ გზებს.

არც ისე შორი ყოფილა ცამდე,
თუ მართლა გჯერა, თუ მართლა გწამს.
ვარსკვლავებს — უფლის ანთებულ სანთლებს
ისევ მიწაზე აბრუნებს ცა.

მიწაზე დადის სიკეთე ისევ,
ისევ მიჰყვება გოლგოთის გზებს..
ჯვარზე გაკრულ და ნაწამებ ქრისტეს
მარადიული ცეცხლია მზე.

## აულია ჩვენი ციხე

არც სიმტკიცეს და არც სიმხნეს
სიმრავლეს და მტრების ძალას, —
აულია ჩვენი ციხე
ერთმანეთის შურს და ღალატს.

არც სიმცირის შიშის გრძნობას,
და მომხდურთა სისხლით თრობას,
მოუგია ბევრი ბრძოლა
ერთმანეთის შურს და მტრობას.

და თუ ზოგჯერ მიწა იძვრის
ან ვარძიას, ანდა მესხეთას.
ეს კაენის სული იბრძვის,
და იუდას გული ფეთქავს.

## სიყვარულის პალიმფსესტი

სული ისევ დგება ცერზე,
ცის ბილიკებს ისევ ვეძებ.
გულზე როგორც პალიმფსესტზე
ისევ ვაწერ ახალ ლექსებს.

ისევ ვხედავ ფერად სიზმრებს,
არ მაშინებს თმებში ფერი.
მაფშალია, მიზის სიმზე
მაფშალია ისევ მღერის.

ქალი ისევ იქცა ხატად,
ისევ მუხლზე ვდგები მის წინ.
მადლობა ღმერთს, რომ გამხადა
ისევ სიყვარულის ღირსი.

## მე შენ გელოდი...

„გაღებულია სამოთხის კარი".

ტ. ტაბიძე

გამიღიმე და მართლა ვირწმუნე
ქალის ღიმილი ყველაფერია,
არცერთ ასაკს და წლებს არ ვიწუნებ,
თუ ბულბულები სულში მღერიან.

რადგან სიყვარულს ვარ მინდობილი,
აღარ მაწუხებს წლები სრულიად.
ეს ჩემი თმები შენზე ლოდინით
გათეთრებული ჩემი სულია.

ასე მგონია, მე შენ გელოდი,
და ჩემი წლები ხარჯად გავიღე.
ალბათ შენა ხარ ის ანგელოზი
მე რომ სამოთხის კარებს გამიღებს.

პოეტის ტკივილს სხვა ვინ გაიგებს
თუ არა ისევ გული პოეტის.
წლები სანთლებად, ჩამოვარიგე
და სალოცავად შენთან მოვედი.

ხომ ოდითგანვე არის ცნობილი
რომ სულს ჭაღარა არ ეკარება.
და ვდგავარ ახლა ხელაპყრობილი
შენს გულთან
როგორც საყდრის კარებთან.

## მინდა ლექსებით გადავარჩინო

რადგან წაიღებს ამ ლამაზ ფერებს,
რადგან არ იცის ჟამმა დანდობა.
ო, როგორ მინდა წლებს და სიბერეს
წავართვა შენი ახალგაზრდობა.

რადგან მე ვიცი, მე კარგად ვიცი,
დრო როგორ გარბის, რა გამძაფრებით.
სწორედ-ამიტომ შენს ლამაზ სიცილს
ლექსებში ვაქსოვ გულის ძაფებით.

რადგან ეს გული შენი ტყვე არის
შენი ტყვე არის ჩემი გონებაც,
ეგ ბროლის ყელი, ტანი-კენარი
მინდა ვაქციო მე სტრიქონებად.

ზოგჯერ ოცნებით თუ შეგეხები,
ისიც პოეტის სული იქნება.
მე მინდა შენი ირმის ფეხები,
გადავაქციო ლექსის რითმებად.

ო, ეგ თითები, ლერწმის მკლავები
ო, ეგ ღიმილი სულის — კარატი.
შენი თვალები, ცის ვარსკვლავები
მინდა ჩემს ლექსში ენთოს მარადის.

მინდა სულ იყო ასე უცვლელი,
სულ იხარო და სულ იმასო,
ეგ შენი ბაგე, ვარდის ფურცელი
ჩემს ლექსში დარჩეს სამარადისოდ

შენ ჩემო ხატო და თვალის ჩინო,
ახლა ჩემს გულს და სულს რომ ანაზებ,
მინდა ლექსებით გადავარჩინო
შენი სიცოცხლე და სილამაზე.

## ვინ დაუწესა სიყვარულს წლები

იობის რწმენა და მოთმინება
ებრძვის ამ ქვეყნის ამაოებას.
თუ სიყვარულმა მოსვლა ინება
ეს ნიშნავს ღმერთთან მიახლოებას.

უფლის წინაშე თანაბარია
გული პოეტის, მეფის, მეგუთნის.
ცოცხალიც იყოს მაინც მკვდარია
გული სიყვარულს თუ არ ეკუთვნის.

როცა ამ ქვეყნად ყოფნა ძნელია,
კაცს სიყვარული უდგას ნუგეშად.
აბა, სიბერე, რა სათქმელია,
სიყვარულს წლები ვინ დაუწესა.

თუმც ლამაზია გაზაფხულის ცა
თოვლის ფიფქებიც ხომ სულს ანაზებს.
ყველა დროს, ყველა ასაკს კაცისას
აქვს თავის ეშხი და სილამაზე.

რისი ჭაბუკი, რისი ხნიერი
ის არის ყველას სულის სალბუნი.
სული ყოველთვის არის მშიერი
თუ სიყვარულით არ დავაპურეთ.

წლები და ფერი სიყვარულისა
ვინ დათვალა და ვინ გაარჩია.
ამაღლებაა ცაში სულისა,
სულს კი ასაკი არ გაჩნია.

## სიყვარულისთვის

არა მტრობისთვის, არა შურისთვის,
არა ტახტისთვის, არა ფულისთვის,
არა ჭამის და ლუკმა პურისთვის.
უნდა ვიცოცხლოთ, უნდა ვიცხოვროთ,
უნდა ვიბრძოლოთ სიყვარულისთვის,
მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისთვის.

## სიყვარული უდგას ლიბოდ

კვლავ სიკვდი უნდა ვთესოთ,
სიძულვილი უნდა ვთიბოთ.
თავისუფალ საქართველოს
სიყვარული უდგას ლიბოდ.

დღეს გვჭირდება (არა შული,
არა ბრაზით გესლის ნთხევა)
ერთმანეთის სიყვარული,
მამულისთვის ღამის თევა.

არა ღვარძლი, არა ბოღმ.
არა შურის, მტრობის ხმები..
იმ ტაძრამდე თუ მიგვიყვანს
მხოლოდ სიყვარულის გზები.

## ნუ გამიმეტებ

რომ ვარ დაღლილი და დაქანცული,
ცხოვრებით, ბრძოლით, შეხლა-შემოხლით.

## ლექსები

ჩემი ოცნების ნაზი ქალწული,
ისევ დამსხვრეულ სულში შემოხვალ.

ისევ შენა ხარ ჩემი იმედი,
და ისევ ბრუნავს ბედის ბორბალი.
ო, პოეზიავ, ნუ გამიმეტებ,
თუ გამიმეტებ, დროზე მომკალი.

შენზე უზომოდ შეყვარებული,
შენს წინ მუხლებზე მდგარი მგოსანი.
იქნება, ბევრჯერ გაბრიყვებული,
მაგრამ ყოველთვის პატიოსანი.

## ГОВОРИТ МОСКВА, МОСКОВСКОЕ ВРЕМЯ...

ამოგვივიდა ყელში ბატონო,
რაც იზღაპრეთ და იაარაკეთ.
ხალხი არა ხართ? ღმერთი არა გწამთ?
ახლა ჩვენ თვითონ გვალაპაკეთ.

რას გვემართლებით, რაღას გვაწვალებთ,
არ გვინდა თქვენი ძალად ცხონება.
ჩვენს სახლში აწი მაინც გვაცალეთ
ჩვენი დროით და ჭკუით ცხოვრება.

## დედის გახსენება

ამ ცოდვილ წუთისოფელში,
თუ მარადიულ მხარეში,
ვერც ცოცხლები და ვერც მკვდრები
ვერა ვძლებთ დედის გარეშე.

როცა სულს უფალს ვაბარებთ,
დედას ვიხსენებთ იმ წამშიც.
მოვდივართ დედის საშოდან,
მივდივართ დედამიწაში.

ხომ დედას ვარქმევთ სამშობლოს,
ხომ ვამბობთ დედა-ბუნებას.
ჩვენი სიკვდილი ეს არის
დედასთან კვლავ დაბრუნება.

## დოქტორი მოუდი: — „ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ"

ღმერთის წყალობას უმეცრობით
გულშივე ვიქრობთ,
შურით და მტრობით ვათრევინებთ
სულს ათასს ცოდვას.
ჩვენ ამქვეყნიურ ცხოვრებაზე
ძალზე ბევრს ვფიქრობთ,
სიკვდილის შემდეგ ცხოვრებაზე
ძალიან ცოტას.
მადლის, სიკეთის, სიყვარულის
გაუცხოება,
ვერ აღამაღლებს, ვეღარ
განწმენდს
სულს ცხონებისთვის.
ვინ იცის, იქნებ, მიწიერი
ჩვენი ცხოვრება
არის გამოცდა და მზადება
სხვა ცხოვრებისთვის.

## მიქელ გაბრიელს

(ირონიული)

ადრე ბევრი გეფიცე
ბევრიც გელოცე,
ადრე ბევრი მაწვალე და
(ცოტა შენც გაგაწვალე).
ახლა, ვინც გყავს სალოცავი
იმის სახელს გაფიცებ, —
თავისუფალ საქართველოს
ხილვა მაინც მაცალე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირისა და ჟურნალ „ნაკადულის“ კონკურსი

საქართველოს დამოუკიდებელი ჟურნალისტთა კავშირი და ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქცია აცხადებენ კონკურსს საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებებზე, რომლებიც გამიზნულია მოზარდი თაობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის, მასში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, სწავლისა და შრომის ჩვევების, აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისათვის, მშობლიური ქვეყნის წარსულის, წინაპრების, უფროსი თაობის სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობის გაღვივება-გაღრმავებისათვის.

მიიღება მხატვრული ნაწარმოებები — მოთხრობები, პიესები, პოემები, ლექსები (პროზაული ნაწარმოების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 3 საავტორო თაბახს, პიესისა — 2 მოქმედებას, პოემის ან ლექსების ციკლისა — 300 სტრიქონს).

საკონკურსოდ მიიღება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 500 მანეთის ოდენობით;

ორი მეორე პრემია — თითოეული 300 მანეთის ოდენობით;

ორი მესამე პრემია — თითოეული 200 მანეთის ოდენობით;

ორი წამახალისებელი პრემია — თითოეული 100 მანეთის ოდენობით.

კონკურსი დახურულია. მასალები უნდა გადაიბეჭდოს ორი ინტერვალით და გამოიგზავნოს ორ ცალად, დევიზით: ცალკე კონვერტში იმავე დევიზით აღინიშნოს ავტორის ვინაობა და მისამართი.

პრემირებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ჟურნალ „ნაკადულში“ და დაიბეჭდება ცალკე წიგნად „ნაკადულის“ ბიბლიოთეკის“ სერიით.

საკონკურსო მასალების მიღება მთავრდება 1990 წლის 31 ოქტომბერს. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 1 დეკემბრისათვის.

მასალები მიიღება მისამართით: თბილისი, 380096, ბელინსკის, 2 ჟურნალი „ნაკადული“. კონკურსისათვის.



# თასი „ავაზას“

თბილისში, 26 მაისს სახელობის სტადიონზე დასრულდა მერაბ კოსტავას სახელობის გარდამავალი თასის გათამაშება, რომელშიც 1977 წელს დაბადებული ჭაბუკები ასპარეზობდნენ. ტურნირში, რომლის ინიციატორი საფეხბურთო კლუბი „მერანი“ (უფროსი მწვრთნელი — თამაზ ჯაში) გახლდათ, მონაწილე 12 გუნდი ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. ჯგუფებში თამაშები წრიული სისტემით ტარდებოდა და გამარჯვებული გუნდები — „მერანი-1“ და „ავაზა“ ერთმანეთის წინ დადგნენ ფინალში. პირველ ტაიმში თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა და ვერცერთმა მხარემ გარკვეულ უპირატესობას ვერ მიაღწია. ფრე — 1:1 — ასეთი ანგარიშით გამოვიდნენ ნორჩი ფეხბურთელები მეორე ტაიმის დასაწყისში. შეხვედრა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა „ავაზას“ ცენტრალურმა ნახევარმცველმა მაცი გიორგაძემ შორი მანძილიდან გამარჯვების გოლი გაიტანა და თანაგუნდელების გარემოცვაში აღმოჩნდა კიდევაც. შეხვედრის მთავარი მსაჯის თამაზ ლორთქიფანიძის სასტვენის შემდეგ კი მოეწყო ნორჩ ფეხბურთელთა დაჯილდოვება და ტურნირის საზეიმო დახურვა. უნდა ითქვას, რომ ტურნირზე, რომლის ორგანიზატორიც იყო საქართველოს რკინიგზის სპორტკლუბი (თავმჯდომარე — ნიკოლოზ ქაჯაია), არა ერთი სამახსოვრო პრიზი იყო დაწესებული. მთავარი პრიზი ტურნირში გამარჯვებულ გუნდს გადასცა ქართული ეროვნული მოძრაობის პატრიარქმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც მიულოცა ნორჩ ფეხბურთელებს გამარჯვება. აღსანიშნავია, რომ მთავარი პრიზი ტურნირის ორგანიზატორებს უსასყიდლოდ გადმოსცა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს „იუნესკოს“ რესპუბლიკური განათლების ფონდთან არსებული საქველმოქმედო კომერციული ასოციაცია „ფიროსმანის“ მხატვარ-დიზაინერმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სერგო სავანელმა. მერაბ კოსტავას სახელობის საზოგადოების მიერ დაწესებული პრიზი „ყველაზე რაინდული გუნდისათვის“, — გადაეცა ქუთაისელ ფეხბურთელებს, ხოლო არქიტექტორმა გურამ ხუხუნაშვილმა სპეციალური პრიზი გადასცა ლანჩხუთის „გურიას“, როგორც ყველაზე კორექტულ გუნდს. ამათს გარდა, დაწესებული იყო სხვადასხვა ინდივიდუალური პრიზები, რომლებიც შემდეგნაირად განაწილდა: საუკეთესო მეკარე — დათო რურუა („მერანი“); საუკეთესო მცველი — ზურაბ არჯევანიძე (ახალგაზრდა საფეხბურთო სკოლა); საუკეთესო ნახევარმცველი — მაცი გიორგაძე („ავაზა“); საუკეთესო თავდამსხმელი — რამაზ თამასიძე („მერანი“); ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი — ალექსანდრე იაშვილი („იბერია“; საუკეთესო ბომბარდირი — ლაშა გომართელი (35-ე სკოლა).

აღსანიშნავია, რომ ყველა მონაწილე გუნდს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები და აგრეთვე მერაბ კოსტავას ფოტოსურათები.

**ბიჟი ტიბანელი**

**ზურაბ ხაჩატუროვის ფოტო.**



# პრიზი ყაზბეგელ მხედარს

კვირას, 27 მაისს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე ჩატარდა მიმდინარე წლის ცხენთგამოცდის დღე. გათამაშებული იქნა სხვადასხვა პრიზები.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ჯილდო, რომელიც იყო დაწესებული 10-კილომეტრიან მარულაში მონაწილე მხედრებისათვის, დაისაკუთრა ყაზბეგელმა მხედარმა ლევან ლუდუშაურმა.

**ტექსტი და ფოტო თამაზ ქიქავასი.**

# კიდევ ერთი დამოუკიდებელი

საქართველოში კიდევ ერთი დამოუკიდებელი სპორტული ორგანიზაცია შეიქმნა, რომლის დამფუძნებელია საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასი“ (პრეზიდენტი დემურ ბაშალეიშვილი). და რომლის შემადგენლობაშიც ფედერაცია წარმოდგენილია, როგორც დარგობრივი ქვედანაყოფი. ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია აკაკი დვალიშვილი. დღეისათვის ფედერაციაში შედის შვიდი კლუბი: „ჯანმრთელობა“, „დინამო“, „ჰერკულესი“, „იზოტოპი“, „ვარკეთილი“, „ნიჩბოსნობის ბაზა“ და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სპორტული კლუბი. ისინი 500-ზე მეტ კაცს აერთიანებს. ამ კლუბების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია გახდნენ საერთაშორისო ფედერაციის (იფბბ-ის) წევრები.

საზოგადოებრივ საწყისებზე უკვე გაიმართა რამდენიმე შეჯიბრება, მათ შორის „ოქროს საწმისის“ ორი საკავშირო ტურნირი. ეს ასპარეზობები დაეხმარა სპორტსმენებს გამოცდილების შეძენაში. და აი შედეგი: დინამოელი რაიბულ კირკიტაძე წარმატებით გამოვიდა „ქარვის თასის“ პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ახლახან დამთავრდა ლიტვის ქალაქ კლაიპედაში. იგი ფინალში გავიდა და მესამე ადგილი დაიკავა.

ამას წინათ, თბილისში გაიმართა საქართველოს პირველი ჩემპიონატი კულტურიზმში. ამ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს: 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში — ს. ბაღდასარიანმა, 70 კგ — ზ. ნებიერიძემ; 80 კგ — ო. ბოკუჩავამ, მათ გადეცათ საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაცია „პეგასის“ დიპლომები და მედლები.

მეორე ტური კულტურიზმში ჩატარდება სექტემბერში, თბილისში.

**დათო მჭედლიძე**

# შავი ქამარი თბილისში

არც ისე დიდი ხნის წინ ვიუწყებოდით, რომ თბილისში, ვაკის სტადიონზე, ჩამოყალიბდა „კიოკუშინ-კარატეს“ სპორტულ საწარმოო ასოციაცია „ორბი“, თავისი კლუბით. ისიც გაუწყეთ, რომ მისი პრეზიდენტი გურამ ბარაბაძე ამერიკაში გაემგზავრა კოლეგებთან ურთიერთობის დასამყარებლად. ეს ვიზიტი წარმატებით დამთავრდა, ამერიკული კორპორაციები „დაიანა“ და „ჯ. ვ. ტ.“ მზად არიან თანამშრომლობისათვის. ამ კორპორაციების ხელმძღვანელები რიჩარდ ფიშერი ჩიკაგოდან და სიდნეი ლილლი ლას-ვეგასიდან უკვე ასოციაცია „ორბის“ პრეზიდიუმის საპატიო წევრები არიან. ქართველი სპორტის მოყვარულები სულ მალე უცხოელ კოლეგებთან საქმიანი თანამშრომლობის მოწმენი გახდებიან. სულ ახლახანს კი კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა მოხდა — ქართველმა კარატისტებმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდა კიევში ჩამოსულ იაპონელ კარატისტებს, რომელთა შორის უკრაინაში ჩამობრძანდნენ მე-6 დანის ოსტატი როიამა და სამპეი. ჩვენმა სპორტსმენებმა ავთანდილ შენგელაიამ, ზურაბ კობაიძემ და ირაკლი გოგოტაძემ რამდენიმე ხნის განმავლობაში ივარჯიშეს მათთან და თბილისში ჩამოიტანეს ოსტატობის პირველი დანი და შავი ქამარი.

**ინა სარიძე**

# კიდევ ერთი მსხვერპლი

ძნელია, ძალიან ძნელია ალეკო ადამიაზე წარსულში ილაპარაკო. მხიარული, ენამოსწრებული, კეთილშობილებით სავსე, თითქოს თავად იყო სიცოცხლის განსახიერება. არ შეიძლება, ასეთი კაცი სარეცელს მიეჯაჭვოს, ასეთები უცებ ქრებიან. და მაინც... მთელი წელი იბრძოდა სიცოცხლისათვის, ბოლომდე იბრძოდა...

მხოლოდ საოცრად ჯანმრთელ ორგანიზმს შეეძლო გადაეტანა ერთი წლის განმავლობაში ურთულესი ოპერაცია. არაადამიანური ძალისხმევაა საჭირო, რომ ასეთ დროს სულით არ დაეცე, შეინარჩუნო წონასწორობა, სიკეთე. სათქმელადაც კი ძნელია საავადმყოფოში გატარებული 13 თვე...

ისიც ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე კაცისთვის...

შარშან, ტელევიზიით გადმოსცეს, რომ ჭავჭავაძის პროსპექტზე, თავისი სახლის წინ, ჯარისკაცებმა არაადამიანურად სცემეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც სროლით შეშინებულ მეხუთე-მეექვსე კლასელ ბიჭებს გამოესარჩლა და თავის ეზოში დამალა. ეს იყო ალეკო ადამია, რომელიც შარშან 11 აპრილს 6 ჯარისკაცმა უმოწყალოდ სცემა კონდახითა და წიხლებით მხოლოდ იმიტომ, რომ უდანაშაულო ბავშვები დაიცვა.

მუცლის ღრუს ორი ურთულესი ოპერაციის შემდეგ განვითარდა აბსცესი და საჭირო გახდა ფილტვის ამოღება. არც ერთი სიტყვა, ოდნავი სამდურავიც კი არ დასცდენია. ბოლომდე შემართული, საოცრად ვაჟკაცურად იტანდა ყველაფერს: ტკივილს, საავადმყოფოს სულისშემხუთავ, დამთრგუნავ გარემოს. 26 მაისს უნდა შევხვედრო, ვერ ისვენებდა. ბედის ირონიაა, სწორედ 26 მაისს, გამთენიისას გარდაიცვალა.

წავიდა კიდევ ერთი ვაჟკაცობით გამორჩეული, ნაღდი თბილისელი ახალგაზრდა კაცი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე, ულალატო მეგობარი, გულისხმიერი შვილი, მეუღლე, მამა. წავიდა და დაგვიტოვა დიდი სევდა.

რა შეიძლება ასეთ დროს უთხრა მის თვალისჩინ დაკარგულ მოხუც, უნუგეშო დედას, რომელიც მეორე შვილს აბარებს მიწას, მის მეუღლეს ან მის შვიდი წლის კოტიკოს, რომელიც თავისი ასაკისათვის უცნაურად, კაცურად გლოვობს მამას... საკუთარი ხელით მიაქვს მაგარი ჩაი და ბებიას ეხვეწება ცოტა მაინც დალიოსო.

ერთი წელი განუწყვეტელ გლოვაშია საქართველო. დაშრიტა ცრემლი, აღარ იცის, რომელი ერთი შვილი დაიტიროს, ტორტმანებს, ბორგავს, მაგრამ მაინც ანთებს სანთელს ხატის წინ და ჯიუტად იმეორებს:

**„ეგებ ინებოს ბატონმა**
**გაგვმარჯვებიყოს მტერზედა,**
**თუ ამას გავიგონებდი,**
**არ ვიტირებდი მკვდრებზედა.**
**იმავ დღეს, შვილო, დედილამ,**
**ჭრელს ჩავიცომდი კაბასა“.**

გვჯერა, რომ ვიხილავთ ჭრე-



ლით შემოსილ საქართველოს. სხვაგვარად არ შეიძლება მოხდეს.

**მეგობრები**

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მიხადები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაზშეთ კორპუსში, ხოშარაულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400 უე 00296

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380008 მ. კოსტავას ქ. № 14.